ლიბერალი
№ 136 / 13 - 19 მაისი / 2013

რატომ არ შეიძლება აბორტის აკრძალვა? გვ. 06
ინტერვიუ თამარ გურჩიანთან გვ. 16
ჟურნალისტი აქციაზე გვ. 08
რა არ იცვლება ხელისუფლების ცვლასთან ერთად გვ. 12
რას შეცვლის კონკურენციის ახალი პოლიტიკა? გვ. 34
„ლაბორატორია 1918“ სისტემის პირისპირ გვ. 26

ISSN 1987-7528
9 771987 752008
ფასი 2 ლარი

ნანა ომიდის

რაც დარჩა სათქმელი

ყოველ შაბათს 22:00

მეხვედრიდან
მეხვედრამდე ყოველთვის
რჩება რაღაც უთქმელი,
ის, რაც ყველაზე მეტად
საინტერესოა.

სტუმრად მათთან, ვისაც
ყოველთვის აქვს
სათქმელი.

tv 9

ლიბერალი

№ 136 / 13 – 19 მაისი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:
ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრიბუცია:
გიორგი რუხაძე, ლელა რეხვიაშვილი, სეიმურ ქაზიმოვი, სალომე გუნთაიშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
შორენა შავერდაშვილი

ბიზნესის განვითარების მენეჯერი:
რუსუდან ბარათაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:
გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:
mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი

ახლა, როცა რედაქტორის სვეტს ვწერ, ჟურნალ „ლიბერალის“ ეს ნომერი უკვე აწყობილ-დაკაბადონებულია და მზადაა სტამბაში გასამგზავრებლად.

იმ საკითხებზე ვიმუშავეთ, რაც ახლა, ამ დღეებშია ჩვენში აქტუალური – პირადი ცხოვრების დაცვა-დაუცველობაზე და იმ საფრთხეებზე, რაც აბორტის აკრძალვას ახლავს თან.

ნიშანდობლივია, რომ აბორტის აკრძალვის აუცილებლობაზე უმეტესწილად მამაკაცები, უფრო ხშირად, კლერიკალი მამაკაცები, ანუ, რელიგიური მოღვაწეები საუბრობენ-ხოლმე. ჩვენ ქალები, დიდხანს ვდუმდით, და ახლაც, თუკი ხმას ვიღებთ, ჩვენი ხმა მაინც სუსტად ისმის.

დარწმუნებული ვარ, აბორტი ქალების უფლებაა, გაკეთებულ აბორტებზე დარდი ისევ ჩვენი, ქალების სათრევი ტვირთია; აბორტების შედეგადაც ისევ ჩვენ, ქალები ვავადდებით, ან სულაც – ვკვდებით. მამაკაცებს მხოლოდ ის შეუძლიათ, დაგვადანაშაულონ. ზოგიერთ მათგანს შეუძლია გვითანაგრძნოს კიდეც, თუმცა უმეტესობას, ალბათ, არა. უმეტესობა სავარაუდოდ იზიარებს მოსაზრებას, რომ ჩვენ, ქალები მკვლელები ვართ. ეკლესიაც სწორედ ამ ტერმინით მოგვიხსენიებს.

გვისმენენ? – თურმე, არა მხოლოდ გვისმენენ, არამედ ურცხვად გვითვალთვალებენ, ამ თვალთვალის შედეგს სადღაც, რომელიღაც ჯურღმულის ბნელ უჯრებში ინახავენ და მერე, როცა მოუნდებათ და დასჭირდებათ, გამოამზეურებენ. აქ ქალებიც და მამაკაცებიც ერთნაირად დაუცველები ვართ.

ასეთი რამ მხოლოდ ჩვენნაირ განვითარებად ქვეყნებში არ ხდება – პრინცესა დიანა სწორედ მოთვალთვალეებს გაექცა და მოკვდა, მანამდე მისი პირადი, ინტიმური საუბრები მთელმა მსოფლიომ მოისმინა.

თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ალბათ ესაა – ინსტიტუციებისგან (მაგალითად, სახელმწიფოსა და ეკლესიისგან) თავის დაცვა.

მომწონს ის, რომ რაც ჩვენ დღეს გვაღელვებს, დედამიწაზე ბევრგანაა აქტუალური და მტკივნეული. ბევრგან ფიქრობენ ამავე თემებზე. მარტო არ ვართ. მგონი, ესეც ნუგეშია.

ნინო ბექიშვილი
აღმასრულებელი რედაქტორი

"ლაბორატორია 1918" - სუბიექტური სისტემის პირისპირ

„ლაბორატორია 1918“ ორი წლის წინ, 2011 წლის აპრილში ჩამოყალიბდა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უფრო ზუსტად კი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. დროთა განმავლობაში „ლაბორატორია“ ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ საზოგადოებრივ მოძრაობად იქცა. სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ახალგაზრდები მემარცხენე ხედვით და გამოკვეთილი სოციალური მოთხოვნებით გაერთიანდნენ, თუმცა იდეოლოგიურმა სიჭრელემ, რადიკალურმა პოზიციამ და სხვა ფაქტორებმა ჯგუფს საკმაოდ ბევრი პრობლემა შეუქმნა.

გიორგი გოგუა
33.26

ქალი, ობოხს დეზექტირი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, ყოველ საათში 8 ქალი კვდება არალეგალური აბორტების შედეგად, წლიურად ეს მაჩვენებელი 68 000 გარდაცვლილ ქალს ითვლის. სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი სტატისტიკა აფრიკას, აზიასა და ლათინურ ამერიკას აქვს. განვითარებად ქვეყნებში 100 000 არალეგალურ აბორტზე 367 სიკვდილის შემთხვევა რამდენიმე ასეულით აღემატება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს, სადაც აბორტი ლეგალიზებული და შედარებით უსაფრთხოა.

აბორტის აკრძალვის თემა საქართველოში 5 მაისის შემდეგ ისევ აქტუალური გახდა. სააღდგომო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქი მთავრობას აბორტის აკრძალვის შესახებ კანონის მიღებისაკენ მოუწოდებდა.

თინა ყიფშიძე
33.38

პირადი მონასტერები დასული უნდა იყოს

ვფიქრობ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საქართველოში ყველა ადამიანისთვის რისკის ქვეშ დგას. ამას ორი მიზეზი აქვს. უფრო სწორად, ერთი მეორისგან გამომდინარეობს. მერაბ მამარდაშვილს ჰქონდა ერთი ტერმინი – მეტაფიზიკური გამჭვირვალობა – საქართველოში ყველა მეზობელს აქვს უფლება, იცოდეს შენი პირადი საიდუმლო. იმის თქმა მინდა, რომ ეს, პირველ რიგში, კულტურული ნორმების საკითხია. საქართველოში პირადი ცხოვრების საიდუმლო, როგორც ღირებულება და როგორც კულტურული ნორმა, სამწუხაროდ, არ არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, ტოტალიტარულ წარსულთანაც არის დაკავშირებული, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების კონტროლის ლეგიტიმაციას აკეთებდა. სადაც სახელმწიფო აპარატი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პიროვნება; სადაც ინდივიდუალური თავისუფლება მთლიანად იყო იგნორირებული; სადაც ბიუროკრატია ძალიან ძლიერი იყო და ყველა ჩვენთაგანის სულის კონტროლს ეფუძნებოდა.

ირაკლი აბსანძე
33.16

ჟურნალისტი აქციაზე

აქტივიზმისა და ჟურნალისტიკის გამიჯვნა „ლიბერალის“ რედაქციაში ზუსტად ისეთივე პრობლემურ საკითხად რჩება, როგორც ეს დაახლოებით ერთი წლის წინ იყო. 1 მაისს, როდესაც ჩვენი ჟურნალისტი ანი ჭანკოტაძე სხვა დემონსტრანტებთან ერთად პოლიციამ დააკავა, ყველანი დავიბენით. ანი აქციაზე ერთი რიგითი აქტივისტი იყო, რისი სრული უფლებაც მას აქვს. თუმცა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, არავის გახსენებია, რომ ის „ლაბორატორია 1918“-ის წევრია. სოციალურ ქსელებსა და მედიაში „ლიბერალის“ ჟურნალისტის დაკავებაზე საუბრობდნენ.

ლაშა ქავთარაძე
გვ.08

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ფოტო-გამოფენა – „ავღანური დღიურები“

სოფო აფციაური
გვ.50

ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ:



04 მოკლედ
ორი აზრი
06 რატომ არ შეიძლება აბორტის აკრძალვა?
კომენტარი
08 ჟურნალისტი აქციაზე
10 ბოიკოტი ოლიმპიადას?
12 ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – რა არ იცვლება ხელისუფლების შეცვლასთან ერთად?
ინტერვიუ
16 პირადი მონაცემები დაცული უნდა იყოს
პოლიტიკა
22 გზავნილი: არასოდეს ხარ მარტო
26 „ლაბორატორია 1918“ – სუბკულტურა სისტემის პირისპირ
რეგიონი
32 აზერბაიჯანელი აქტივისტები ევროპაში თავისუფალ ტელევიზიას აარსებენ
ეკონომიკა
34 რას შეცვლის კონკურენციის ახალი პოლიტიკა?
ადამიანის უფლებები
38 აბორტი – დანაშაული თუ არჩევანი?
42 როგორ დავიცვათ დასაქმებულთა უფლებები?
კანონმდებლობა
46 „უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება“
კულტურა
50 ფოტო-გამოფენა – „ავღანური დღიურები“
54 **ციტატები**

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ:
გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ᲒᲔᲭᲓᲕᲐ:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ტამერლან ცარნაევი მასაჩუსეტის შტატიდან მოშორებით დაკრძალეს



ბოსტონის ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილი ტამერლან ცარნაევი აშშ-ში, მასაჩუსეტის შტატიდან მოშორებით დაკრძალეს. თუმცა პოლიცია წარმოშობით ჩეჩენი ტერორისტის საფლავის ადგილმდებარეობას არ ასახელებს. ამის შესახებ ABC News იუწყება.

ცარნაევის დაკრძალვას წინ რამდენიმედღიანი საპროტესტო გამოსვლები უძღოდა. კემბრიჯის მცხოვრებლები, სადაც ცარნაევი ცხოვრობდა, ქალაქში მის დაკრძალვას აპროტესტებდნენ. ცარნაევის ცხედრის მიღებაზე უარი თქვა მასაჩუსეტის შტატის რამდენიმე სასაფლაოს მმართველმაც. აშშ-ის პოლიციის განცხადებით, ცარნაევის დაკრძალვა ერთ-ერთი „მამაცი და შემწყნარებელი ადამიანის“ მეშვეობით მოხერხდა. თუმცა პოლიცია არ ამხელს ამ ადამიანის ვინაობას.

ჩეჩენი წარმოშობის ძმები – ტამერლან და ჯოხარ ცარნაევები 14 აპრილის ბოსტონის მარათონის დროს მოწყობილ აფეთქებაში არიან ეჭვმიტანილები. აშშ-ის სპეცსამსახურებმა მათი დაკავების ოპერაცია 19 აპრილს განახორციელეს, რა დროსაც ორმხრივი სროლის შედეგად ტამერლან ცარნაევი მიღებული ჭრილობებისგან დაიღუპა. 19 წლის ჯოხარ ცარნაევი კი პოლიციამ იმავე დღეს, მოგვიანებით დააკავა.

ბოსტონის ტერაქტს სამი ადამიანი ემსხვერპლა, 176 კი დაშავდა.

შსს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის აპრილი 362 695 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 21 %-ით მეტია. რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 1 291 593 ვიზიტი შეადგინა, რაც 32%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია: ტურისტი – 469 095 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 36%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 26,6%); ტრანზიტი – 202 697 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 15.7%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 54%). სხვა – 619 801 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 48%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 30%). 2013 წლის აპრილში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი კვლავ თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ირანიდან შემოვიდა. ასევე, გარკვეული ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით აპრილში გამოირჩევიან პოლონეთის (60%), შუა აზიის ქვეყნებიდან-უზბეკეთისა და ყაზახეთის, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსიის მოქალაქეები – 32%-იანი მატებით.

სილვიო ბერლუსკონის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

BBC- ის ინფორმაციით, სააპელაციო სასამართლომ იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის ფინანსურ მაქინაციებში დასდო ბრალი და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ასევე 5 წლით აეკრძალა სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა.

მაუწყებლის ინფორმაციით, საქმე სილვიო ბერლუსკონის მედიაკომპანია Mediaset-ს ეხება. 76 წლის პოლიტიკოსმა ქვეყნის ხაზინაში გადასახადების სახით 7 მილიონი ევრო არ შეიტანა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი სააპელაციო სასამართლოს განაჩენს იტალიის საკასაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

სასამართლომ, ბერლუსკონის ასაკიდან გამომდინარე, 4-წლიანი პატიმრობა 1 წლამდე შეამცირა. 76 წლის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურადაა მოტივირებული.

ჰასმუსენი: დიპლომატია "მაგარი ძალას თუ არ დაეფუძნა, ევროპას მოუწევდება დამაჯერებლობა და გავლენა

„ჩვენ, ევროპელებმა, უნდა გავიაზროთ, რომ მხოლოდ „რბილი ძალა“, რეალურად არ წარმოადგენს ძალას. დიპლომატია „მაგარ ძალას“ თუ არ დაეფუძნა, ევროპას დამაჯერებლობა და გავლენა მოაკლდება“, – ეს განცხადება რასმუსენმა 6 მაისს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოს-



ვლისას გააკეთა. მისი გამოსვლის ანალიზს ევროკავშირის პოლიტიკაზე სპეციალიზებული გამოცემა EU Observer-ი გვთავაზობს.

„თუკი ევროპის ქვეყნები მტკიცედ არ უერთგულებენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში ინვესტირების პროცესს, მაშინ გაძლიერებული ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ მთელი ეს საუბრები მხოლოდ საუბრებად დარჩება“, – განაცხადა მან.

ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოდან 21 ნატოს წევრიც არის.

რასმუსენის შეფასებით, ეს ქვეყნები სატრანსპორტო თვითმფრინავების, მათი ჰაერში გამართვის, დაზვერვის და დაკვირვების შესაძლებლობების ნაკლებობას განიცდის.

თუმცა რასმუსენი თვლის, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ევროკავშირის ცალკეულ წევრ ქვეყნებს ძალიან ძვირი დაუჯდებათ იმ შეიარაღების შესყიდვა, რომელიც ნატოს სურს, რომ ჰქონდეს.

რასმუსენის გამოსვლა იმ მოსამზადებელი სამუშაოების ნაწილი იყო, რომელიც დეკემბერში დანიშნული მნიშვნელოვანი სამიტის წინ მიმდინარეობს. ეს სამიტი ევროპის თავდაცვის საკითხებს მიეძღვნება. მას შემდეგ, რაც 2008 წელს ფინანსურმა კრიზისმა იფეთქა, ამგვარი სამიტი აღარ ჩატარებულა.

ბარაკ ობამა: სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება "წითელი ხაზების" გადაკვეთა იქნება

ცოტა ხნის წინ, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ მადლობა გადაუხადა რუსეთს „ჟენევა ორი“ კონფერენციის გამართვის ხელშეწყობისთვის, რომელიც სირიის კრიზისს მიეძღვნება. დამასკო და არაბული ქვეყნების ლიგა ამერიკისა და რუსეთის ამ „დაახლოებას“ მიესალმნენ, თუმცა სირიის ოპოზიცია ამ ინიციატივას სკეპტიკურად შეხვდა.

ისრაელმა, ცოტა ხნის წინ, რუსეთს მოუწოდა არ მიჰყიდოს საჰაერო თავდაცვის სისტემები ბაშარ ალ-ასადს, რომელიც ასადს შესაძლებლობას მისცემს მოიგერიოს უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია.

„როიტერის“ ცნობით, რომში მყოფმა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონისთვის უმჯობესი იქნება თუ რუსეთი სირიისათვის იარაღის მიყიდვას შეწყვეტს. ამ დრომდე დასავლეთის ლიდერები სირიაში სამხედრო ჩარევაზე არ ფიქრობენ, თუმცა ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება „წითელი ხაზების“ გადაკვეთა იქნება, რასაც ძლიერი პასუხი მოჰყვება.

„ჩვენი შეფასებით, სირიაში გამოყენებული ქიმიური იარაღი, სავარაუდოდ რეჟიმის ძალებიდან მოდის. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რომ ქიმიური იარაღი ოპოზიციამ გამოიყენა,“ – აღნიშნა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის წარმომადგენელმა.

ეკა აღდგომელაშვილი
ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ხელმძღვანელი

ჰატომ პრ შეიძლება ა

აბორტების აკრძალვის საწინააღმდეგო ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი არგუმენტი ამ პრაქტიკის იატაკქვეშეთში გადასვლაა, რაც ქალების ჯანმრთელობაზე აისახება. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში აბორტების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი იზრდება ან აბორტი ქალის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი აკრძალულია ან აბორტის აკრძალვის მცდელობა იყო, აბორტის კონტროლს ვერ ახდენენ. ქალები, თუ საკუთარ ქვეყანაში ვერ იკეთებენ აბორტს, მეზობელ ქვეყნებში გადადიან და იქ იკეთებენ. ანუ რაოდენობრივად შეიძლება შემცირდეს აბორტები, მაგრამ ის ქალი, რომელსაც აბორტის გაკეთება სურს, მას მაინც იკეთებს, უბრალოდ, ამისთვის შედარებით რთული გზის გავლა უწევს. ზოგადად, აკრძალვას სასურველ შედეგთან არასდროს არ მივყავართ.

როდესაც აბორტების აკრძალვაზეა საუბარი, ეფექტურ და მომგებიან ალტერნატივას არ ასახელებენ. რა ალტერნატივას სთავაზობენ ქალებს ის ადამიანები, რომლებმაც ეს თემა წამოსწიეს და მის შესახებ დისკუსიაში აქტიურობენ? აბორტების სიმრავლე, რომელიც თავისთავად სულაც არაა სასურველი და სასიამოვნო, იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში სექსუალური განათლების დონე ძალიან დაბალია. აბორტის ალტერნატიულ საშუალებას არავინ ასახელებს.

ის, რომ აბორტი დემოგრაფიულ პრობლემაზეა მიბმული, აბსურდია. არ შეიძლება ამ თემაზე საუბარი ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური ფაქტორების, ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაუთვალისწინებლად.

აბორტის გაკეთების ერთ-ერთი საფუძველი ქალის ეკონომიკური მდგომარეობაა, ადამიანებს სურვილი აქვთ ბავშვის სრულფასოვანი აღზრდის საშუალება ჰქონდეთ და ამ საშუალების არარსებობის შემთხვევაში აბორტის გადაწყვეტილებამდე მიდიან. კიდევ ერთი გარემოება არასასურველი ორსულობაა, როდესაც ქალზე ძალადობას და გაუპატიურებას აქვს ადგილი. არსებობს სქესის გამო აბორტების გაკეთების პრაქტიკაც. უამრავი მიზეზია და ამ მიზეზებიდან უნდა დავიწყოთ საუბარი, სანამ ვინმე პარლამენტში გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჩვენს ქვეყანაში საშინელი მდგომარეობაა სქესობრივი აღზრდისა და განათლების კუთხით. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებს რომ გადახედოთ, გასაოცარ ფაქტებს წააწყდებით. სქესობრივი და რეპროდუქციული საკითხების შესახებ ინფორმაციას ახალგაზრდები უმეტესწილად დედებისაგან იგებენ და არა პროფესიონალისგან. თავის მხირვ დედასაც ხომ უნდა ჰქონდეს გადამოწმებული და სწორი ინფორმაცია. არ ხდება ამის სწავლება. ამაზე არავინ არ საუბრობს, რეალურად კი ესაა ყველაზე დიდი პრობლემა.

აბორტების სიმრავლე, რომელიც თავისთავად სულაც არაა სასურველი და სასიამოვნო, იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში სექსუალური განათლების დონე ძალიან დაბალია. აბორტის ალტერნატიულ საშუალებას არავინ ასახელებს.

აბორტის აკრძალვა?

ლევან აბაშიძე
თეოლოგი

ეკლესიის თვალსაზრისით და საერთოდაც, ნებისმიერი ჰუმანური თვალსაზრისით რომ შევხედოთ, აბორტის გაკეთებას ნებისმიერი ქალი უნდა ერიდებოდეს. ცხადია, ხანდახან არის ისეთი მდგომარეობა, როცა ქალს არანაირად არ აწყობს ბავშის გაჩენა, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ სჯობს, აქამდე არ მიიყვანონ საქმე. აქ შემოდის კულტურის თემა, საჭიროა დაგეგმვა, მაგრამ ეკლესია აქაც აწყდება პრობლემას, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიას ვგულისხმობ. ერთი მხრივ, ეკლესია აკურთხებს ფიზიკურ სიახლოვს მეუღლეებს შორის, მაგრამ დღეს ალბათ შეუძლებელია გააჩინო ბევრი შვილი. ამავე დროს, ცხადია, რომ დღესდღეობით შეუძლებელია კონტრაცეპტივების გარეშე ცხოვრება. საეკლესიო თვალსაზრისით ნებისმიერი კონტრაცეპტივი თუ სხვა საშუალება მაინც არ არის გამართლებული. ჩემი აზრით და მართმადიდებლური ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირიც ხშირად ამავე აზრს იზიარებს, რომ უფრო ტოლერანტულად უდგება სხვადასხვა სახის მეთოდებს ორსულობის თავიდან ასაცილებლად. ეკლესიისთვის აბორტი ცოდვაა და ქრისტიანიც და არაქრისტიანიც უნდა ერიდოს ამის გაკეთებას. შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ეკლესიის პოზიცია სწორია. კათოლიკურ ეკლესიაში ეს აკრძალვა ბევრად უფრო მკაცრია. რომის კათოლიკური ეკლესია კრძალავს ნებისმიერი სახის კონტრაცეპტივს, რაც საკმაოდ ბევრ პრობლემებს ქმნის. კათოლიკე ქრისტიანმა, რომელსაც უნდა, რომ მუდმივად მიყვეს ეკლესიის სწავლებას, ან გაუთავებლად უნდა აჩინოს ბავშვები, ან სექსუალური ცხოვრებისგან თავი უნდა შეიკავოს დიდი ხნის განმავლობაში, ან ეს მითითება უნდა დაარღვიოს. კათოლიკურ ეკლესიას ამის გამო საკმაოდ ხშირად აკრიტიკებენ. მაგალითად, აფრიკაში შიდსია გავრცელებული, აფრიკის კონტინენტზე კი უამრავი კათოლიკეა. რა უნდა ქნან, როცა ერთ მეუღლეს აქვს შიდსი და ეკლესია პრეზერვატივის გამოყენებას კრძალავს? პაპმა ასეთ შემთხვევებში გამონაკლისი დაუშვა. კათოლიკური ეკლესია ძალიან იერარქიულია და პაპის სიტყვა კანონია. ჩვენთან ასე არ არის, ზოგიერთმა მოძღვარმა შეიძლება გითხრათ, რომ თქვენი სისუსტის გამო გამოიყენოთ თავდაცვის საშუალება. ასეც ხდება საეკლესიო პრინციპის, ე.წ. იკონომიის გამო, რომლის მიხედვით სჯობს დავუშვათ და ვიყოთ შემწნარებლები, რათა უფრო დიდი ცოდვა ავირიდოთ თავიდან. ამიტომ ჩვენი ეკლესია ამ საკითხში უფრო შემწყნარებლურია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ოფიციალურად აკურთხებს კონტრაცეპტივებს.

ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ ეკლესია არ ეცდება, თავისი გავლენა გამოიყენოს აბორტების ასაკრძალად. რადგან როგორც პრაქტიკა აჩვენებს, აკრძალვა არ არის პრობლემის გადაჭრა, არამედ პირიქით - შეიძლება უფრო უარესი პრობლემები გააჩინოს. კარგი იქნება, თუ ეკლესია მიმართავს თავის ძალისხმევას და გამოიყენებს თავის ავტორიტეტს იმისთვის, რომ ქვეყანაში აბორტების რიცხვი შემცირდეს. ამისთვის სხვადასხვა გზა არსებობს, კათალიკოს-პატრიარქის საღდგომო ეპისტოლეშიც არის ნათქვამი, თუ თქვენ არ შეგიძლიათ და ვერ გაზრდით ბავშვს, მოგვეცით, გავზრდით ან სხვა მშობლებს ვუპოვითო. ეს ერთ-ერთი გამოსავალია. მეორე გზაა უფრო მეტი განმარტებითი მუშაობა, ამაშიც უნდა ჩაებას ეკლესია და არა კანონმდებლობით აკრძალვა მოითხოვოს. ევროპაში რიგ სახელმწიფოებში როცა აბორტი აიკრძალა, ქალები სხვა ქვეყნებში გადავიდნენ აბორტის გასაკეთებლად, ან ისეთ პირობებში იკეთებდნენ აბორტს, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მათ სიცოცხლეს და ჯანმრთლობას.

ეკლესიისთვის აბორტი ცოდვაა და ქრისტიანიც და არაქრისტიანიც უნდა ერიდოს ამის გაკეთებას. შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ეკლესიის პოზიცია სწორია.

ჟურნალისტი აქციაზე

სად გადის ზღვარი ჟურნალისტიკასა და აქტივიზმს შორის? ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი ჯერ ისევ არ გვაქვს.

ლაშა ქავთარაძე

ფოტო: გიორგი გოგუა

ანი ჭანკოტაძე 1 მაისის აქციაზე

რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ აქციაზე ყოფნისას მეგობარმა მკითხა, შენ ჟურნალისტი ხარ თუ აქციის მონაწილეო. აქციაზე, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოთხოვნით იმართებოდა, არა გასაშუქებლად, არამედ ჩვენში დანერგილი მავნე პოლიტიკის გასაპროტესტებლად მივედი. გულწრფელად ვიტყვი, რომ მეგობრის დასმულ არც ისე რთულ კითხვას ვერ ვუპასუხე და უკბილოდ ვიხუმრე. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. თუმცა ახლა მგონია, რომ ყოფილ პარლამენტთან ჩემს დგომას მაშინ უფრო ექნებოდა აზრი, თუკი იქ არა ემოციებით, არამედ ვიდეო კამერით და დიქტოფონით მივიდოდი.

აქტივიზმისა და ჟურნალისტიკის გამიჯვნა „ლიბერალის“ რედაქციაში ზუსტად ისეთივე პრობლემურ საკითხად რჩება, როგორც ეს დაახლოებით ერთი წლის წინ იყო. 1 მაისს, როდესაც ჩვენი ჟურნალისტი ანი ჭანკოტაძე სხვა დემონსტრანტებთან ერთად პოლიციამ დააკავა, ყველანი დავიბენით. ანი აქციაზე ერთი რიგითი აქტივისტი იყო, რისი სრული უფლებაც ჰქონდა. თუმცა, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, არავის გახსენებია, რომ ის „ლაბორატორია 1918“-ის წევრია. სოციალურ ქსელებსა და მედიაში „ლიბერალის“ ჟურნალისტის დაკავებაზე საუბრობდნენ.

ერთი შეხედვით, საკითხის ამოწურვა მარტივად შეიძლება. საერთოდაც არაა გასაკვირი, რომ ადამიანს, „ლიბერალის“ ჟურნალისტი იქნება თუ ტყიბულის მაღაროს მუშა, სხვადასხვა ტიპის სოციალური უსამართლობები აწუხებდეს და ამ ყველაფერს აპროტესტებდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, პრობლემა ექმნება გამოცემას თუნდაც მაშინ, როდესაც ძლივს გათავისუფლებულ სარეკლამო ბაზარზე შენი მედიასაშუალების კლიენტი და შენთვის ხელფასის გადამხდელი, წესით, ის კომპანია უნდა გახდეს, რომელსაც ღორს ეძახი და დედას აგინებ. გარდა ამისა, რამდენჯერაც გინდა გაიმეორო, რომ „ჟურნალისტიც ადამიანია,“ აქტივისტობით შენს მკითხველს/მაყურებელს შენს სამომავლო პროდუქტზე წინასწარგანწყობას უქმნი, რითაც ისევ რედაქციას, და საბოლოო ჯამში, საკუთარ თავსა და საქმეს აზიანებ.

მეორე მხრივ, რთულია ირწმუნო ორთოდოქსული

ჟურნალისტიკის არსებობის, როდესაც მედია მხოლოდ ინფორმაციის გამტარი იქნება და აბსოლუტური სტერილურობის შენარჩუნებას მოახერხებს. მით უმეტეს დღეს, როდესაც მილიონობით ადამიანი სიცოცხლის თითქმის ნახევარს ონლაინ-სივრცეში ატარებს და როდესაც კიბერ-რეალობა ყოფით ცხოვრებაში ბოლომდეა ინტეგრირებული. „ფეისბუკში“ დაწერილი „სმაილიც“ კი შენს კომენტარად შეიძლება აღიქვან.

არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ სახელმძღვანელოში ჩაიწერება, რამდენ ვორქშოპს გაივლის მედიაში დასაქმებული ადამიანი – პიროვნული ფაქტორისა და ინტერპრეტაციის გამორიცხვა ჩვეულებრივ მითად დარჩება. თუნდაც ისევ 1 მაისის აქცია გავიხსენოთ. ანი ჭანკოტაძე ამ აქციაში მიიღებდა თუ არა მონაწილეობას, არამგონია ამას მის ჟურნალისტურ საქმიანობაზე არსებითი გავლენა მოეხდინა. მისი შეხედულებები და იდეოლოგიური მიკუთვნებულობა არც აქციაში მონაწილეობით შეცვლილა და არც იმ შემთხვევაში შეიცვლებოდა, თუკი ამ დღეს ანი ჟურნალისტად იმუშავებდა. იდეოლოგიურად მოტივირებული ჟურნალისტიკა კი მხოლოდ ჩვენთან არ არის დილემური.

ჟურნალისტიკის მთელი ხიბლიცა და სირთულეც მის პირობით ხასიათშია. Media.ge-სთან საუბარში ჟურნალისტმა ზვიად ქორიძემ თქვა: „როცა ანა პოლიტკოვსკაია ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებზე, რუსეთის ფედერალური ძალების აღვირახსნილ მოქმედებებზე ან ადამიანის უფლებების დარღვევაზე “ნოვაია გაზეტაში“ წმინდა ჟურნალისტურ სტატიებს აქვეყნებდა, შემდეგ იწყებდა ამ ისტორიების ადვოკატირებას. ეხმარებოდა ამ ხალხს – მიჰყავდა ადვოკატებთან, პროკურატურაში, ინტერესდებოდა - სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან როგორ ხდებოდა ცალკეული ისტორიების გამოძიება. ეს იყო სამოქალაქო აქტივიზმი, მაგრამ, იმავდროულად, ის იყო ჟურნალისტი.“

ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი მართლა რთულია გამოარკვიო, სად გადის ზღვარი აქტივიზმსა და ჟურნალისტიკას შორის, ყოველ შემთხვევაში, ამაზე პასუხი მე არ მაქვს. თუმცა ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ – ჟურნალისტიკა თავისთავად აქტივიზმია. ამიტომაცაა, რომ პოლიტიკურ რეჟიმებს ყველაზე მეტად ინფორმაციის გავრცელების ეშინიათ. აქცია შეიძლება დაშალო, აქტივისტები დააკავო, ოპონენტები მოისყიდო ან გააუვნებელყო, ხოლო ინფორმაციას, თუკი ის საკმარისი მასშტაბით გავრცელდა, ველარაფერს მოუხერხებ და შეიძლება მას ბევრი რამ ემსხვერპლოს.

ჟურნალისტიკა თავისთავად აქტივიზმია. ამიტომაცაა, რომ პოლიტიკურ რეჟიმებს ყველაზე მეტად ინფორმაციის გავრცელების ეშინიათ. აქცია შეიძლება დაშალო, აქტივისტები დააკავო, ოპონენტები მოისყიდო ან გააუვნებელყო, ხოლო ინფორმაციას, თუკი ის საკმარისი მასშტაბით გავრცელდა, ველარაფერს მოუხერხებ და შეიძლება ბევრი რამ ემსხვერპლოს. ინფორმაციის გავრცელება აქტივიზმია, დამატებით მეგაფონით სირბილი კი მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში შეიძლება დაგჭირდეს, სადაც მედია მიმკვდარებულია, ანა პოლიტკოვსკაიას კი კლავენ.

ინფორმაციის გავრცელება აქტივიზმია, დამატებით მეგაფონით სირბილი კი მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში შეიძლება დაგჭირდეს, სადაც მედია მიმკვდარებულია, ანა პოლიტკოვსკაიას კი კლავენ.

„მედია ისედაც იმდენად ძლიერი ინსტრუმენტია, რომ დამატებით სამოქალაქო აქტივიზმში ჩართვა მხოლოდ მის უსუსურობაზე მეტყველებს, თუ იგი საკითხის დღის წესრიგში დაყენებას ვერ ახერხებს ისე, რომ ჟურნალისტები სასტვენებით არ გამოვიდნენ,“ – თქვა „ლიბერალის“ ყოფილმა ჟურნალისტმა ეკა ჭითანავამ, როდესაც ეს საკითხი რედაქციაში პირველად წამოიჭრა.

აქტივიზმისა და ჟურნალისტიკის დაპირისპირება-თანაცხოვრების შესაძლებლობა, ვფიქრობ, სწორედ, მედიის სიძლიერე-სისუსტის პერსპექტივიდან უნდა განვიხილოთ. უბრალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ-ჯერობით სუსტები ვართ. მედიაგარემო შეიცვალა, სიტუაცია კი ფაქტობრივად იგივე რჩება. ჟურნალისტები დიდწილად ისევ ვლივლივებთ, ხალხთან ურთიერთობის ნაცვლად ისევ კომპიუტერის ეკრანებთან ვატარებთ უმეტეს დროს, ისევ პოლიტიკური კატა-თაგვობანასგან ვქმნით მთავარ ახალ ამბებს, ისევ ვკარგავთ მთავარს.

ჰოდა, სულაც აღარაა გასაკვირი, რომ სანამ სამოქალაქო საზოგადოების წევრები, მმართველი ელიტის ყოველი ცვლილების შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში მირბიან, ჟურნალისტებს აქციაზე გასვლის სურვილი უჩნდებათ.

ბოიკოტი ოლიმპიადას?

გიორგი რუხაძე

თუ ბრაზილიის ან იტალიის ეროვნული ნაკრები ფეხბურთის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ბოიკოტს გამოუცხადებს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ეს ნამდვილად იქნება სალაპარაკო თემა არა ერთი და ორი დღის, არამედ დიდი ხნის განმავლობაში. თუმცა თუ ისლანდია არ წავა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ან კოსტა-რიკა ზამთრის ოლიმპიადაზე, ასევე ნებისმიერი მიზეზის გამო, ამაზე დიდად არც არავინ ინერვიულიებს.

გუშინ საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას, რომლის თანამხადაც საქართველოს ეროვნული გუნდი მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიადაში. ამ პოზიციას ემხრობა საქართველოს პრემიერ-მინისტრიც, რომელმაც საკუთარი აზრი ამ საკითხზე უკვე არაერთხელ გამოთქვა. ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება ქართულმა საზოგადოებამ არაერთგვაროვნად მიიღო. ნაწილი აცხადებს, რომ ქართულ ეროვნულ გუნდს სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინა, რადგანაც ეს ღონისძიება რამდენიმე ათეულ კილომეტრში ტარდება ოკუპირებული აფხაზეთიდან, სადაც ქართველთა გენოციდი მოაწყვეს. ამით საქართველო კიდევ ერთხელ შეახსენებდა მსოფლიოს, რომ რუსეთი უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ქართული სახელმწიფო არასოდეს შეეგუება რუსულ ოკუპაციას. საზოგადოების მეორე ნაწილი კი ხელისუფლების გადაწყვეტილებას მიესალმება. მათი აზრით, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით ოფიციალური თბილისი კონსტრუქციულობასა და რუსეთთან ურთიერთოებების დათბობის სურვილს დაადასტურებს, გარდა ამისა არგუმეტად იმასაც იყენებენ, რომ სპორტულ ღონისძიებებს განსაკუთრებით კი ოლიმპიადას საერთო არაფერი აქვთ პოლიტიკასთან.

შეიძლება კი ოლიმპიადის პოლიტიკური, ნაციონალური თუ სხვა მიზნებისთვის გამოყენება? ისტორია აჩვენებს, რომ მსგავსი რამ ჩვეულებრივი პრაქტიკაა. მეტიც, მე-20 საუკუნეში თითქმის არ ყოფილა ოლიმპიადა, რომლისთვისაც ერთ ან რამდენიმე ქვეყანას სხვადასხვა ფორმით პროტესტი ან ბოიკოტი არ გამოეცხადებინა.

1936 წელს ბერლინში ჩატარებულ ოლიმპიადას ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმის გამო ესპანეთმა, საბჭოთა კავშირმა და კიდევ 21-მა სახელმწიფომ ბოიკოტი გამოუცხადა. საყურადღებოა, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო ამერიკის ოლიმპიურ გუნდს მოუწოდა მონაწილეობა მიეღო გერმანიის ოლიმპიადაში, თუმცა ბევრმა ამერიკელმა ათლეტმა ინდივიდუალურად უარი თქვა ჰიტლერის წინაშე გამოსვლაზე. 1956 წელს უნგრეთის რევოლუციის სისხლში ჩახშობა მელბურნის ოლიმპიადის ბოიკოტით ათეულობით სახელმწიფომ გააპროტესტა. ამას დაემატა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების

პროტესტიც სუეცის კრიზისისა და ისრაელ-ეგვიპტის ომის გამო.

ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე მსხვილმასშტაბიანი ბოიკოტი 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადას გამოუცხადეს. მიზეზი საბჭოთა არმიის ავღანეთის ტერიტორიაზე შესვლა გახდა. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად 70-მა სახელმწიფომ უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩასვლაზე. ამის პასუხად უკვე საბჭოთა კავშირმა და სოციალისტურმა ბლოკმა 4 წლის შემდეგ ლოს ანჯელესის ოლიმპიადა გააპროტესტა, სადაც 22 ქვეყანა არ ჩავიდა.

ისტორიაში არსებობს მაგალითებიც, როდესაც სპორტსმენებმა ოლიმპიადაზე თავად გააპროტესტს ამა თუ იმ ქვეყნის ტირანული პოლიტიკა და პროტესტის ორიგინალური ფორმის წყალობით, ეს ფაქტები ბევრად დასამახსოვრებელი იყო, ვიდრე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ბოიკოტი.

1901 წლის ოლიმპიადაზე, გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგარმა ირლანდიელმა ათლეტმა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს გუნდში გამოდიოდა, ტანზე უეცრად ირლანდიის ეროვნული დროშა შემოიხვია, შემდეგ კი თავს ზევით აღმართა და გამოაცხადა, რომ მისი სამშობლო დამოუკიდებელი ირლანდია იყო. ოლიმპიურმა კომიტეტმა ის შეჯიბრიდან მოხსნა და ოქროს მედალიც ჩამოართვა, ბრიტანეთის სპეც-სამსახურმა კი დროებით დააკავა, თუმცა პროტესტის ამ თამამ ფორმაზე ათწლეულების განმავლობაში საუბრობდნენ ირლანდიელები.

1964 წელს ამერიკელებმა რასიზმი გააპროტესტეს და მარტინ ლუთერ კინგს სოლიდარობა გამოუცხდეს. ორმა ამერიკელმა თეთრკანიანმა ათლეტმა, როგორც კი კვარცხლბეკზე ავიდა მარჯვენა ხელზე შავი ლენტები შემოიხვია. მათაც დისკვალიფიკაია ერგოთ წილად.

დღესაც ხშირად იხსენებენ პოლონელ სპორტსმენს, რომელსაც მოსკოვის ოლიმპიადაზე მონაწილეობა აიძულეს, თუმცა როდესაც პირველი ადგილისთვის ბრძოლაში რუსი ათლეტი დაამარცხა სტადიონის ოთხივე მხარეს სამი თითის კომბინაცია აჩვენა რუს მაყურებელს. მარეკ პეტუსი პოლონელი ხალხის სათაყვანებელი გმირი გახდა, რადგანაც 70 ათასი მაყურებლის წინაშე საკუთარი ერის სათქმელი თამამად უთხრა საბჭოთა კავშირს.

მსგავსი მაგალითები ბევრია და ის ადამიანები დღეს ახსოვთ როგორ პიროვნებები, რომელთაც ეყოთ ღირსება და გამბედაობა იმისთვის, რომ გადმოეცათ საკუთარი ერისა და სამშობლოს სათქმელი. დაემტკიცებინათ, რომ საუკეთესონი იყვნენ არა მხოლოდ როგორც სპორტსმენები, არამედ როგორც პატრიოტები.

კიდევ ერთხელ ისმის კითხვა, უნდა გამოუცხადოს თუ არა საქართველომ ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადას? ჩემი პასუხია „არა“. იმიტომ კი არა რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებას ასეთი პოზიცია აქვს, ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ამად არ ღირს, ან რუსეთი არ გავაღიზიანოთ, ან დასავლელი მეგობრები არ ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში, არამედ იმიტომ, რომ ბოიკოტირება არ იქნება პროტესტის ეფექტური ფორმა.

სპორტი ხანმოკლე პროფესიული ხაზით ხასიათდება. თითოეული შეჯიბრი, განსაკუთრებით კი ოლიმპიადა სპორტსმენისთვის ის შესაძლებლობაა, რომელიც ძალიან ხშირად მხოლოდ ერთხელ ეძლევა და პოლიტიკოსებმა ბოიკოტით მათ ეს შანსი არ უნდა წაართვან. თუმცა სპორტსმენიც, ჯერ მამულიშვილი უნდა იყოს და მერე ათლეტი და თავისი მოქმედებით, გამარჯვებითა თუ ღირსეული დამარცხებით, ასევე სხვა ნებისმიერი ქმედებით საკუთარი ქვეყანა ღირსეულად უნდა წარადგინოს მსოფლიო ასპარეზზე.

კიდევ ერთხელ ისმის კითხვა, უნდა გამოუცხადოს თუ არა საქართველომ ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადას? ჩემი პასუხია „არა“. იმიტომ კი არა რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებას ასეთი პოზიცია აქვს, ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ამად არ ღირს, ან რუსეთი არ გავაღიზიანოთ, ან დასავლელი მეგობრები არ ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში, არამედ იმიტომ, რომ ბოიკოტირება არ იქნება პროტესტის ეფექტური ფორმა. საქართველო არც ჩეხეთია და არც კანადა, რომ მისი უარის გამო სოჭში სათხილამურო მსოფლიო ჩემპიონები აღარ ჩავიდნენ და არც ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელსაც შეუძლია ნახევარი მსოფლიო აიყოლიოს.

ამიტომ, საქართველოს ეროვნული გუნდი უნდა წავიდეს ოლიმპიადაზე, ღირსეულად უნდა იასპარეზოს, გაიმარჯვოს ან დამარცხდეს, თუმცა სწორედ ამ დროს უნდა ითქვას ერის სათქმელი, როგორც ამას ირლანდიელი, ამერიკელი, თუ პოლონელი პატრიოტები აკეთებდნენ წარსულში.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - რა არ იცვლება ხელისუფლების შეცვლასთან ერთად?

ლელა რეხვიაშვილი

2010 წელს „ეკონომისტმა“ დაბეჭდა სტატია სათაურით „საქართველო მხოლოდ ბაყაყის ექსპორტით ვერ იარსებებს“. საქართველოში დიდად არ გახმაურებულა ქართული ბაყაყის საფრანგეთში ექსპორტირების ამბავი, თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი. როგორც სტატიის სათაურიც მიუთითებს, დისკუსია, ზოგადად, ქართული ეკონომიკის განვითარების გამოწვევებს ეხებოდა, უფრო კონკრეტულად კი, ავტორი წარმოების ნაკლებობის, უარყოფითი სავაჭრო ბალანსის და განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის არქონას განიხილავდა.

■ რას აკეთებს მთავრობა და რას ვაკეთებთ ჩვენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოება? ჩემი გადმოსახედიდან, ეკონომიკურ განვითარებაზე ყველაზე ნაკლები დისკუსია მიმდინარეობს. მეინსტრიმულ დისკურსში, ისევე როგორც პოლიტიკა „ბინძურია“, ეკონომიკაც ან მსგავსად „ბინძურია“ ან გაუგებარი, ან ბანალური.

დღეს ეკონომიკის განვითარების საკითხები ისეთივე აქტუალურია, როგორც გასული ათწლეულების მანძილზე. შეიძლება ითქვას, უფრო აქტუალურიცაა, ვიდრე აქამდე. ეკონომიკური ხედვის ჩამოყალიბება სხვა მიზეზებთან ერთად იმიტომ არის პრიორიტეტი, რომ ოცწლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე პირველად მოხერხდა ძალაუფლების მშვიდობიანი შეცვლა და შესაბამისად, დემოკრატიული განვითარებისკენ ერთ-ერთი ყველაზე გარდამტეხი ნაბიჯი გადაიდგა. თუ ამ დადებითი მოვლენის გამოყენება და შენარჩუნება გვინდა, ეკონომიკურ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ.

ოქტომბრის არჩევნებში მოსახლეობამ ხელისუფლების ცვლილებას ორი ძირითადი მიზეზით დაუჭირა მხარი. პირველი პოლიტიკური წნეხის, რეპრესიების და კონტროლისგან გასათავისუფლებლად და, მეორეც, სოციალური პრობლემების გაუმჯობესების იმედით. ცხადია, რომ ტერორი და მოსახლეობაზე ზეწოლა შედარებით შემცირდა (არ მინდა დავივიწყო უამრავი ხარვეზი, მათ შორის 1 მაისის დემონსტრაციაზე პოლიციის მიერ ძალაუფლების გადაჭარბებული გამოყენება, თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ ფარდობითად მდგომარეობა გამოსწორებულია). მაგრამ თუ მთავრობა მეორე უმნიშვნელოვანეს საკითხს – სოციალური პრობლემების გადაჭრას ნაწილობრივ მაინც ვერ მოახერხებს, საზოგადოების უკმაყოფილება ადვილად გაიზრდება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში ასეთი სცენარი უკვე განვითარდა. სამი წლის მანძილზე საზოგადოება მოთმინებით აკვირდებოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და კონსტიტუციის მრავალჯერად გადაწერას, თუმცა 2007 წლის შემდეგ პროტესტის გამოხატვა დაიწყო. 2008 წლიდან მოყოლებული, პრეზიდენტის და სხვა სამთავრობო წარმომადგენლების რიტორიკაში სიღარიბისა და უმუშევრობის თემის წინ წამოწევა იმაზე მეტყველებს, რომ მმართველი ელიტა უკმაყოფილების და პოლიტიკური დაძაბულობის სოციალურ საფუძვლებს მშვენივრად აცნობიერებდა. მაგრამ ხელისუფლებას სოციალური პრობლემების მოგვარების არც ხედვა გააჩნდა და არც სურვილი, ამიტომაც კომპრომისი დემოკრატიულ განვითარებაზე გაკეთდა – მთავრობამ რეპრესიები გაზარდა და უმუშევრობის და სიღარიბის შემცირება მხოლოდ პოპულისტური რიტორიკის ნაწილად დატოვა.

ეს და ასევე სხვა ქვეყნების მაგალითები ცხადყოფს, რომ ფართოდ გავრცელებული სიღარიბე და უთანასწორობა აუცილებლად გახდება პოლიტიკური დესტაბილიზაციის ან დემოკრატიული პროცესების უკუსვლის მიზეზი, რაც სოციალური პრობლემების მოგვარების დროში გადადებას იწვევს. მსგავსი სცენარების თავიდან ასარიდებლად აუცილებლად უნდა მოხერხდეს მძიმე სოციალური პრობლემების შემსუბუქება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკის განვითარების ხედვის გარეშე შეუძლებელია.

დღეს არსებული სოციალური პრობლემების ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკური რესურსების ექსკლუზიურად ელიტის ხელში თავმოყრაა. ამ პრობლემის

მოგვარება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია გადანაწილების მექანიზმების ამუშავებით. თუმცა, ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ გადასანაწილებელი ბევრი არაფერია. საქართველოში დღეს არსებული სიღარიბის დასაძლევად დღევანდელი რესურსები საკმარისთან ახლოსაც არ არის.

ასეთ ვითარებაში რას აკეთებს მთავრობა და რას ვაკეთებთ ჩვენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოება? ჩემი გადმოსახედიდან, ეკონომიკურ განვითარებაზე ყველაზე ნაკლები დისკუსია მიმდინარეობს. მეინსტრიმულ დისკურსში, ისევე როგორც პოლიტიკა „ბინძურია“, ეკონომიკაც ან მსგავსად „ბინძურია“ ან გაუგებარი, ან ბანალური. ეკონომიკურ ხედვასთან დაკავშირებული დისკუსია ადრე, ძირითადად, საერთაშორისო რეიტინგების აქტიური გამოქვეყნებით, და „ბიზნესმენებთან შეხვედრებით“ შემოიფარგლებოდა. საზოგადოების დანარჩენი დაინტერესებული ნაწილის, განსაკუთრებით კი პროფესიული კავშირების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, სრულიად გამორიცხული იყო.

დღეისთვის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო ცალკეული მისასალმებელი ინიციატივებით გამოდის, და ერთი შეხედვით, მეტი დისკუსიის წახალისებას ცდილობს. მაგალითად 30 აპრილსა და 1 მაისს სამინისტროს ინიციატივით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვა შედგა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქართველი ბიზნესმენებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. რუსეთის ბაზრის გახსნისთვის ამბივალენტური ბრძოლაც შესაძლებელია ქართულ ეკონომიკას წაადგეს. თუმცა, ეს ბევრი არაფრის მთქმელია, რამდენადაც წინა ხელისუფლებაც ასევე ხვდებოდა-ხოლმე ბიზნესმენებსა და ინვესტორებს, მაგრამ მათი უფლებების ხელყოფისგან, ისევე როგორც პროფესიული კავშირების მარგინალიზაციისგან, თავს არ იკავებდა. ჩვენ ჯერ ისევ არ ვიცით, რამდენად შეიცვალა ან შეიცვლება პოლიტიკური ელიტის მიერ ეკონომიკური რესურსების და აქტივობის მონოპოლიზება; შენარჩუნდება თუ არა ექსკლუზიური ეკონომიკური ინსტიტუციები, ჩანაცვლებს თუ არა ახალი ელიტა ძველ ელიტას? რა სახის, რა მასშტაბის და რა მიმართულების ცვლილებები იგეგმება მომავალ თვეებში და მომავალ წლებში?

ჩვენი ხელისუფლება ამ ეტაპზე საზოგადოებასთან განვითარების ზოგადი ხედვის კომუნიკაციას განსაკუთრებული მონდომებით არ ცდილობს. ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია თავადვე დავსვათ კითხვები,





მოვითხოვოთ ეკონომიკური პოლიტიკის და სოციალური პოლიტიკის სინთეზი, გამოვყოთ არსებული პრობლემები, გამოვითხოვოთ ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ვინ განსაზღვრავს ყოველდღიური დებატების დღის წესრიგს. მარგინალური საკითხების უსასრულო განხილვა და ყველაზე სასიცოცხლო პრობლემების მარგინალიზაცია კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. მაშინ, როცა სოციალური თემატიკა ოდნავ მეტ ყურადღებას იპყრობს, აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მხრივაც მოვთხოვოთ ხელისუფლებას ანგარიშვალდებულება.

ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით კი ალბათ ასობით საკითხი არსებობს, რომელზე პასუხიც ძალიან მალე გვჭირდება. ამათგან რამდენიმეს გამოვყოფდი. ერთი მწვავე გამოწვევა უარყოფითი საგაჭრო ბალანსია. ექსპორტის იმპორტით გადაფარვის მაჩვენებელი 2011 წლის მონაცემებით 30% პროცენტზე მეტია, რაც მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ რისკს წარმოადგენს.

მეორეც, ჩვენი ისედაც მცირე ექსპორტი მხოლოდ რამდენიმე საექსპორტო პროდუქტზეა დამოკიდებული და ტრადიციულ დარგებზე კონცენტრირდება. ჩვენი საექსპორტო პროდუქტის დიდი წილი მსუბუქ ავტომობილებზე, ფეროშენადნობებზე, აზოტოვან სასუქებზე, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე მოდის. (იხილეთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები).

მესამეც, მაშინ როცა ადილობრივი წარმოება და ინდუსტრია ასეთ მძიმე დღეშია, ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც საქართველოში შემოდის, ძირითადად არასაექსპორტო დარგებზე – სამშენებლო, ფინანსურ სფეროებსა და ტელეკომუნიკაციებზე მოდის. მთლიანი საგარეო ვალის ზრდა და ინფლაცია კი ასევე მოუშორებელი და მუდმივად მზარდი პრობლემაა.

დაბოლოს, როგორც ფონდ "ლიბერალური აკადემია თბილისის" შუალედური ანგარიში ასკვნის: „ეკონომიკური ზრდის ყველა ძირითადი ფაქტორი იყო საგარეო, უმეტესწილად ატარებდა ფინანსური ინექციის ხასიათს და ნაკლებად განაპირობებდა ეკონომიკის შიდა დაგროვების და მწარმოებლური შესაძლებლობების ზრდას".

პრობლემათა ამ მოკლე ჩამონათვალის მიღმა კიდევ უამრავი საკითხი დგას. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან კი მხოლოდ იმას ვისმენთ, თუ რა „დააშავა" წინა ხელისუფლებამ, ფაქტია, რომ მხოლოდ წინა ხელისუფლების შეცვლით პრობლემები არ მოგვარდება. დღეს შვეიცარია თუ სინგაპურის მაგივრად ახალი აბსურდული სამიზნეების გამოგონება აღარ გვჭირდება, თუმცა სტრატეგიული ხედვის, და თუნდაც სექტორული პოლიტიკის შემუშავება ნამდვილად საჩქაროა.

ამასობაში ფინანსთა სამინისტრო უკვე ავიწროებს გადამზიდველებს და ამაზე მხოლოდ „გამჭვირვალობა საქართველო" საუბრობს. მეტიც, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა საქართველო-უკრაინის ბიზნეს-ფორუმზე განაცხადა, რომ საქართველოს საუკეთესო საბაჟო და საგადასახადო სისტემა აქვს. კარგია, რომ წინა ხელისუფლების დროს გატარებულ ყველა ცვლილებას ხაზი არ გადავუსვათ, მაგრამ იმ საგადასახადო სისტემის ქება, რომელიც სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს ყველაზე მძიმედ აწევს ზურგზე, ცოტა გადაჭარბებულია. ის ერთ-ერთი იშვიათი საგულისხმო ინიციატივა – შრომის კოდექსის ცვლილება – ჯერ განათლების მინისტრმა, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა, უკვე დაგმო. მსგავს პირობებში, გაუგებარი ხდება, რა შეიცვლება მთავრობის ცვლილებასთან ერთად? ძველი სახეების ახალი სახეებით ჩანაცვლებით, ძველი მომხვეჭელი ელიტის ახალი მომხვეჭელი ელიტით ჩანაცვლებით არც მოსახლეობის უმეტესობისთვისთვის იცვლება რამე და ვერც ეკონომიკურ გამოწვევებს ვპასუხობთ.

გასულ წელს განვითარების პოლიტეკონომიის დღეისათვის ყველაზე სახელგანთქმულმა მკვლევრებმა, აცემოგლუმ და რობინსონმა გამოსცეს წიგნი სათაურით „Why Nations Fail", სადაც სიღარიბისა და ეკონომიკური განუვითარებლობის მიზეზები განიხილება. ეს წიგნი ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებულ ცოდნას აჯამებს და ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს ამატებს: სახელმწიფოების განვითარებისთვის კარგი ინსტიტუტების არსებობა და წესების აღსრულებაა მნიშვნელოვანი, მაგრამ „კარგი ინსტიტუტები" ინკლუზიური ინსტიტუტებია, ანუ ის ეკონომიკური ინსტიტუტები – ნორმები და თამაშის წესები – რომელიც ეკონომიკურ აქტივობაში ფართო საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფს. ექსკლუზიური ინსტიტუტები და ვიწრო ელიტების მონოპოლია ასევე შეიძლება ეკონომიკური ზრდის გარანტი იყოს, მაგრამ მხოლოდ დროებით. მსგავსი ინსტიტუტების არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური და სოციალური განვითარება არასოდეს ყოფილა მდგრადი და შენარჩუნებადი. ჩვენი გამოწვევაც ეს არის – ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა, თუმცა, ჯერჯერობით, ოპტიმიზმის საფუძველი არ ჩანს.

იპოთეკური სესხი ლარში



დაივიწყეთ ვალუტის კურსის
მოულოდნელი ცვალებადობა

თიბისი ბანკი
TBC BANK

227 27 27 | * 27 27
www.tbcbank.ge

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

პირადი მონასმეები დასული უნდა იყოს

ინტერვიუ იურისტთან და უფლებადამცველთან
თამარ გურჩიანთან

გასულ კვირას ინტერნეტში, ანონიმურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულმა ვიდეომ ფარული ჩანაწერების თემა კვლავ აქტუალური გახადა. ფირი, სადაც სამი ადამიანის სექსუალური ქცევებია აღბეჭდილი, თვალსაჩინო მაგალითია ადამიანის პირადი სივრცის დარღვევის საილუსტრაციოდ. იურისტი თამარ გურჩიანი ამ კონტექსტში სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლება-პასუხისმგებლობებზე გვესაუბრება.

წინა კვირას გავრცელებულ ვიდეოში აღბეჭდილი სამი ადამიანიდან მხოლოდ ერთის, უფრო "ცნობადის" პიროვნული სივრცის ხელყოფაზე მიდის დისკუსია. ეს საზოგადოების პრობლემაა?

ვფიქრობ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საქართველოში ყველა ადამიანისთვის რისკის ქვეშ დგას. ამას ორი მიზეზი აქვს. უფრო სწორად, ერთი მეორისგან გამომდინარეობს. მერაბ მამარდაშვილს ჰქონდა ერთი ტერმინი – მეტაფიზიკური გამჭვირვალობა – საქართველოში ყველა მეზობელს აქვს უფლება, იცოდეს შენი პირადი საიდუმლო. იმის თქმა მინდა, რომ ეს, პირველ რიგში, კულტურული ნორმების საკითხია. საქართველოში პირადი ცხოვრების საიდუმლო, როგორც ღირებულება და როგორც კულტურული ნორმა, სამწუხაროდ, არ არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, ტოტალიტარულ წარსულთანაც არის დაკავშირებული, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების კონტროლის ლეგიტიმაციას აკეთებდა. სადაც სახელმწიფო აპარატი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პიროვნება; სადაც ინდივიდუალური თავისუფლება მთლიანად იყო იგნორირებული; სადაც ბიუროკრატია ძალიან ძლიერი იყო და ყველა ჩვენგანის სულის კონტროლს ეფუძნებოდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, პირადი ცხოვრების უფლება არანაირად არ იყო დაცული. დღეს ჩვენ საქართველოში გვაქვს სიტუაცია, როცა არც კი ვიცით, რომ ეს ღირებულებაა, რომ ჩვენი უფლებაა, დაგვანებოს თავი სახელმწიფომ და ვიყოთ ჩვენთვის. უფლება – ვიყო ჩემთვის, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების ამოსავალი წერტილია.

საუბრობენ, რომ ქართველები განსაკუთრებულად არტისტულები ვართ, რომ აქ ბევრი სხვის დასანახად ცხოვრობს. ესეც ტოტალიტარული გამოცდილებიდან მომდინარეობს თუ ფსიქოტიპია ასეთი – ვიტრინაში ცხოვრება?

ეს ის საკითხია, რომელშიც არ ვარ იმდენად კომპეტენტური, რომ შევაფასო. მაგრამ, გეთანხმებით. ვფიქრობ, რომ ადამიანის ავტონომიურობა, ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არის უფრო უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე ქვეყნის, სახელმწიფოს, როგორც კოლექტიური წარმონაქმნის ინტერესები. ეს, რა თქმა უნდა, დიდი

დღეს ჩვენ საქართველოში გვაქვს სიტუაცია, როცა არც კი ვიცით, რომ ეს ღირებულებაა, რომ ჩვენი უფლებაა, დაგვანებოს თავი სახელმწიფომ და ვიყოთ ჩვენთვის. უფლება – ვიყო ჩემთვის, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების ამოსავალი წერტილია.

პრობლემაა. სწორედ ამის გამო ჩვენ გვაქვს ბევრი ანაქრონიზმი კანონმდებლობაში. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონმდებლობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მეორე მხრივ, კონსტიტუციაში მშვენიერი მუხლი გვაქვს, რომელიც ამბობს, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუვალია; არ შეიძლება, ხელყო ადამიანის კერძო საკუთრება; მისი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება გააკონტროლო ადამიანის კორესპონდენცია და ა.შ. მაგრამ, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, კანონმდებლობა მოძველებულია. თუმცა, რომც გვქონდეს კარგი კანონმდებლობა (მაგალითად, კარგი კონსტიტუცია), ეს არაფერს შეცვლის, თუ კულტურული და სოციალური ნორმები არ შეიცვალა. ამიტომაც, არავინ იცავს იმ ადამიანების ინტერესებს, ვინც გავრცელებულ ვიდეოზე ჩანდნენ და არ არიან ცნობადები. ეს განპირობებულია პრობლემის ტოტალურობით – მხოლოდ იმ ადამიანების უფლებები ტივტივებს ზედაპირზე, ვინც ჩვენ ტელევიზორიდან ვიცით. ასეთ ვიდეოებს ცნობადი ადამიანების დასაშანტაჟებლად იყენებენ, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური კულტურა ქვის ხანაშია. თუმცა, იმაზეც მეტყველებს, რომ სხვა ადამიანები, ვის მიმართაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს, აბსოლუტურად დაუცველები არიან. მათ შემთხვევაში პირადი ცხოვრების შელახვის რისკი, შეიძლება, გაასმაგებულიც კი იყოს.

საჯარო პირებს ის უპირატესობაც აქვთ, რომ მათ მიმართ ბუნებრივად არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი. ეს ინტერესი ზოგჯერ ჯანსაღია, ზოგჯერ არაჯანსაღი, მაგრამ მათ თმენის ვალდებულება აკისრიათ. ისინი ამას წინასწარ დათანხმდნენ. მათ იცოდნენ, რომ ხშირად თუ გამოჩნდებოდნენ ტელევიზორში (სამწუხაროდ, საჯაროობის ერთადერთი ინდიკატორი საქართველოში ესაა) თმენის ვალდებულება ექნებოდათ ზოგჯერ საზოგადოების არაჯანსაღი ინტერესის მიმართაც. სხვა ადამიანებს, ვინც საჯარო პირები არ არიან, ეს თანხმობა არ გამოუთქვამთ. მათ არც აუწონ-დაუწონიათ, არც უფიქრიათ ამაზე და არანაირი ინფორმირებული თანხმობა არც ერთი ფორმით არ გამოუხატავთ. მათ არ გაუკეთებიათ ეს არჩევანი. პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი პირადი ავტონომია შეიძლება შეიზღუდოს. საზოგადოებას, შესაძლოა, ლეგიტიმურად უჩნდებოდეს კითხვები ისეთ საკითხებზე, რაც სხვა პირის შემთხვევაში არ გაუჩნდებოდა – მაგალითად, რომელ ეკლესიაში

დადიხარ, რა რელიგიის აღმსარებელი ხარ, როგორი დამოკიდებულება გაქვს საკუთარი ოჯახის წევრებთან და ა.შ.. ბუნებრივია, ეს არ უნდა ვრცელდებოდეს ავტონომიურობის ისეთ ასპექტზე, როგორიც სექსუალობაა. ეს საკრალური სფერო უნდა იყოს. არსებობს ძალიან დელიკატური ზღვარი. ამის მიღმა ადამიანი უნდა რჩებოდეს საკუთარ ავტონომიურობაში. აქ საჯარო პირსაც აქვს უფლება – იყოს თავისთვის.

პირადი ცხოვრება ჩვენთან ხშირად მხოლოდ სექსუალურ ცხოვრებამდე დაჰყავთ. რელიგიურობაც ხომ ინტიმური საკითხია. არა აქვთ ამ შემთხვევაში ავტონომიურობის უფლება პოლიტიკოსებს?

ეს კვლავ ეთიკური სტანდარტებია. რამდენად ეთიკური პოლიტიკოსები გვყავს? რამდენად არიან მზად თავიანთი ელექტორატის მანიპულირებისთვის? ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ეკლესიაში პირჯვრის გადაწერისას, ლოცვის დროს ფოტოს იღებს, ჩემთვის მატყუარა და ფარისეველი. ამ მატყუარობას იმით ამართლებენ-ხოლმე, რომ ამომრჩეველს ამის დანახვა უნდა.

შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მათ რაღაც იდეების გამო უხდებათ ასეთ კომპრომისებზე წასვლა?

არ ვარ პოლიტიკოსი და მორალურ კომპრომისებს არ ვამართლებ. არ ვფიქრობ, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება მისაღებია. შეიძლება, სხვამ ეს გითხრათ და კარგადაც დაგისაბუთოთ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. არ არის რელევანტური არგუმენტი, რომ მე როცა პარლამენტში შევალ ძალიან კარგ საქმეებს გავაკეთებ და ამიტომ ახლა იძულებული ვარ ეს გავაკეთო. უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ მართალია საქართველოში ყველა ფიქრობს, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, მაგრამ პოლიტიკა არ უნდა იყოს ბინძური საქმე. აქ თითქმის ყველა ფიქრობს, რომ რაც უფრო გაქნილი, ცბიერი და მატყუარა ხარ, მით უფრო მაგარი პოლიტიკოსი ხარ, მაგრამ ეს არ არის სწორი. ეს არ არის სტანდარტი, რომელსაც პოლიტიკოსები თავიანთი საქმიანობით უნდა გვიჩვენებდნენ. კარგი პოლიტიკოსი, რომელსაც მე ხმას მივცემდი, არის პოლიტიკოსი, ვინც არ მატყუებს. ვინც მიზნის მიღწევას ტყუილებით ცდილობს, ის კარგი პოლიტიკოსი არაა. აქ ძალიან მარტივ ჭეშმარიტებებზეა საუბარი. არ უნდა იტყუებოდეს. მან კი იცის, რომ იტყუება, როცა მიჩვენებს ფოტოებს, მუხლმოდრეკილი როგორ ლოცულობს. ლოცვა თავისთავად იმდენად ინტიმური ქმედებაა, რომ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ამ თემით მანიპულირება. მეორე მხრივ, პოლიტიკოსებმა ყურადღება იმასაც უნდა მიაქციონ, რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანები არ არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები. აქ ძალიან სერიოზულ შეცდომასთანაც კი გვაქვს საქმე. ისინი მხოლოდ იმ ამომრჩევლებზე არიან ორიენტირებულები, ვინც უმრავლესობას წარმოადგენს. რამდენად გინდათ თქვენ პოლიტიკოსი, რომელიც მხოლოდ უმრავლესობის პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული? მავანი იტყვის, რომ დემოკრატიაში უმრავლესობაა მთავარი, მაგრამ ასე არ არის. დემოკრატიულ ქვეყანაში უმრავლესობა კი იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებით. ამიტომ პოლიტიკოსი, რომელიც რელიგიური რიტუალების აღსრულებისას ფოტოს იღებს, იმაზეც უნდა ფიქრობდეს, რამდენად ეთიკურია ეს მულტი-ეთნიკურ და მულტი-რელიგიურ საზოგადოებაში. თუ ეს არ ესმის, ის არ არის კარგი პოლიტიკოსი.

პოლიტიკოსებს ხშირად ვხედავთ-ხოლმე არამართლმადიდებლურ რელიგიურ დღესასწაულებზეც.

ესეც ფარისევლობაა. ჯერ ერთი, ისიც რაღაცას უნდა გვეუბნებოდეს, რომ მხოლოდ დღესასწაულებზე ვხედავთ იქ. ამას აქვს რაღაცნაირად ხელოვნურობის ელფერი. ათასში ერთხელ, ძირითად დღესასწაულს თუ მიულოცავენ მუსლიმან ქართველს, ეს საკმარისად მიაჩნიათ. მერე რა, რომ სხვა დროს მუდმივად იმის დემონსტრირებას აკეთებენ, რომ ქვეყანაში მართლმადიდებლური რელიგიაა მთავარი. ესეც ფარისევლობაა. თუმცა ეს ჟესტი თავისთავად დასაფასებელიც არის. საერთოდ რომ იგნორირებას უკეთებდნენ, უარესი იქნებოდა. სიყალბე არასოდეს იმალება. დარწმუნებული ვარ, ბევრ ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანზე იმ ფოტოებმა, შეიძლება, ერთჯერადი ეფექტი მოახდინოს, მაგრამ მაინც არაფერს ნიშნავს. ამიტომ პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო სამსახურების პიარ-სამსახურებმა ამაზე დრო არ უნდა დახარჯონ და ხშირად დაფიქრდნენ, რა წერია საქართველოს კონსტიტუციაში, რა არის სეკულარული სახელმწიფოს ამოსავალი ღირებულებები.

ცოტა უფრო შორს რომ წავიდეთ, საჯარო პირების ლოცვის დროს გადაღებული ფოტოები ერთგვარად გზას უხსნით რეპორტიორებს მათ საძინებლებსა და სამზარეულოებში შესასვლელად?

აბსოლუტურად. ვფიქრობ, რომ პოლიტიკოსი, რომელიც ლოცვის ინტიმური აქტის თანამონაწილედ ხდის ვიღაცას, ზღვარს შლის პირად ავტონომიასა და საჯარო ინტერესს შორის. ეს, შეიძლება, პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული ავტონომიის ისეთ ასპექტთან, როგორიც სექსუალობაა, შეიძლება პირდაპირ ლიცენზიას არ აძლევდეს რეპორტიორებს, რომ საძინებელში შეიჭრან, მაგრამ სინდისის თავისუფლებაც ღირებულებაა, რომელიც შენს პირადობას, შენს იდენტო-

ბას უკავშირდება. რა თქმა უნდა, ეს არ არის ინფორმირებული არჩევანი, არავინ წაუძღვება ფოტორეპორტიორებს საკუთარი საძინებლისკენ, მაგრამ ლოცვის აქტის გასაჯაროებით ამის ბიძგს აძლევ.

წინა ხელისუფლების პირობებში გქონდათ შეგრძნება, რომ ან გითვალთვალებენ, ან ტელეფონს უსმენენ?

დიახ, რა თქმა უნდა. არც ახლა მაინტერესებს, მისმენენ თუ არა და არც მაშინ მაინტერესებდა, მაგრამ, როგორც პროფესიონალმა, ვიცოდი, რომ მოსასმენად ყველა საშუალება არსებობდა; არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კერძო კომპანიებსაც კი შეეძლოთ ეს. ისიც ვიცოდი, რის საშუალებას აძლევდა ქართული კანონმდებლობა სახელმწიფოს. ამიტომ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ ნებისმიერი ადამიანის სატელეფონო საუბრების მოსმენა იყო შესაძლებელი. ერთი წლის წინ, როცა პოლიტიკური პარტიის თანამშრომლებს ვუტარებდი ტრენინგს, პირადად ვნახე, რომ კუდის მთელი დეპარტამენტი იყო ამოსული "ქართული ოცნების" აქტივისტების სასტუმრო ოთახებში მოსასმენი მოწყობილობების დასამონტაჟებლად.

წინა ხელისუფლების დროს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რეალურად გისმენდნენ თუ არა. მნიშვნელოვანი იყო, რომ ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ ყველა ისმინებოდა. სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმი არა მხოლოდ რეალური ძალის გამოყენება, არამედ ამ ძალის გამოყენების საშიშროებაა. სამწუხაროდ, მემკვიდრეობად მივიღეთ, რომ ხალხს ისევ სჯერა, რომ უსმენენ. ეს ვიდეომასალაც ერთ-ერთი მეთოდია. ნებით თუ უნებლიედ ისევ სახელმწიფომ იხეირა, რომელმაც თქვა, რომ ეს მის კონტროლის მიღმაა, თუმცა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა ისევ ეჭვქვეშ დგას. სახელმწიფო ამ არქივით ისევ მშვენივრად მანიპულირებს.

ანუ ამ ვიდეოთი შეგვახსენეს, რომ სახელმწიფო აქ არის და ყურის კედელზე მოდება ყოველთვის შეუძლია?

სახელმწიფომ ეს პროცესი უბრალოდ სხვა სიბრტყეზე გადაიტანა. თქვა, რომ არსებობს ინტერნეტი, რომელიც მისგან ვერ კონტროლდება;

ასეთ ვიდეოებს ცნობადი ადამიანების დასაშანტაჟებლად იყენებენ იყენებენ, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური კულტურა ქვის ხანაშია. თუმცა იმაზეც მეტყველებს, რომ სხვა ადამიანები, ვის მიმართაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს, აბსოლუტურად დაუცველები არიან.

რომ არიან კერძო პირები, ვისაც ვერ აკონტროლებს; რომ ეს ძველი ჩანაწერებია, რომელსაც წინა ხელისუფლება აკეთებდა. სახელმწიფომ ჩვენ, რიგითი ადამიანები, ამ პრობლემას შეგვატოვა. ის გვეუბნება – მე არაფერშუაში ვარ. თუ გინდა ესეც გავაკონტროლო, მე მოვიფიქრებ მეთოდებს. მერე კი ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ის მეთოდებიც არ იქნება ჩვენთვის მისაღები. მაგალითად, ჩვენ არ ვიქნებით თანახმა, თუ ინტერნეტის რეგულირება მოუნდება და ა.შ.

პირადი ცხოვრების უფლება გულისხმობს იმას, რომ ჩემი პირადი მონაცემები დაცული უნდა იყოს. მე უნდა ვიცოდე - ვინ, სად, რატომ ინახავს ამ მონაცემებს. ძალიან კომპლექსურია ეს უფლება და ძალიან ბევრ ასპექტს მოიცავს. თუკი შენახული მონაცემები არასწორია, შემიძლია მისი შეცვლა მოვითხოვო. თუკი ამ მონაცემების შეგროვების უფლება არ გააჩნია სახელმწიფოს, შემიძლია მისი განადგურებაც მოვითხოვო. ასევე მაქვს უფლება, ვიცოდე, ვისთვისაა ეს მონაცემები ხელმისაწვდომი. მაგალითად, მე შეიძლება უკურნებელი სენი მჭირდეს. ეს უკიდურესად სენსიტიური ინფორმაციაა და საავადმყოფოშია დაცული, მაგრამ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს, რომ ჩემმა მეზობელმა არ იცოდეს ამის შესახებ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვიცოდე, იმ საავადმყოფოში ვის მიუწვდება ხელი ამ ინფორმაციაზე, ვის მიუწვდება ჯანდაცვის სამინისტროში ხელი და თუ ვინმემ ეს ინფორმაცია მოითხოვა, ვინ მოითხოვა. სახელმწიფომ უნდა მაცნობოს, თუ ვინმემ ეს ინფორმაცია მოითხოვა, როდის მოხდა ეს ჩარევა. აქ თითქოს ყველაფერი დარეგულირებული და მარტივია, მაგრამ თვალთვალი უკვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების რეჟიმში გადადის. აქ კი ანაქრონიზმი გვაქვს – საბჭოთა დროიდან შემორჩენილი კანონმდებლობა. ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, სად ინახება და ვის მიუწვდება ხელი თვალთვალისა და მიყურადების დროს მოპოვებულ ინფორმაციაზე. ეს მხოლოდ სასამართლომ, პროკურატურამ და შსს-მ იცის. თუ ჩვენ მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გატარდა და ეს საქმე სასამართლომდე მივიდა, მაშინ შეიძლება რაღაც შევიტყოთ, მაგრამ ზოგჯერ ეს ინფორმაცია სასამართლოზე მხარეებისთვისაც კი არაა ხელმისაწვდომი. თუ საქმემ სასამართლომდე არ მიაღწია, ანუ ძალოვანების მხრიდან გატარებული იყო რუტინული სამუშაო, შენ არავინ გატყობინებს. გამოძიებისა

ინტერესების მოშველიებით ყოველთვის შეუძლიათ უარი გითხრან მის გადმოცემაზე. ჩვენ გვქონია შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის საქმის დახურვის შემდეგაც არ გადმოუციათ ინფორმაცია. ეს ტოტალურად დახურული, საკრალიზებური სფერო იყო. არავის, მათ შორის სასამართლოსაც, არ ჰქონდა შეღწევის უფლება. დღემდე ინერციით ასე გრძელდება. თუკი არ მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები, ამ ასპექტში სამართლებრივი კულტურის ძირეული შეცვლა, რეფორმა, ამ საკითხს არაფერი ეშველება.

პერსონალური მონაცემების ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნა შეცვლის რამეს? ქმედითი ინსტრუმენტი იქნება?

იმ შემთხვევაში შეცვლის, თუ ეს დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ინსტიტუტი იქნება. უკეთესი კანონის მიღებაც შეიძლებოდა. კარგია, ეს რომ გვაქვს, მაგრამ პრობლემა იმდენად ტოტალურია, რომ არ მინდა ამ ინსტიტუტის პროპორციულ ძალად წარმოდგენა.

ხელისუფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მოქალაქეების კონტროლის მექანიზმების შენარჩუნებას ყოველთვის შეეცდება. ყოველთვის იარსებებს დიადი, ნათელი მიზნები, რომლითაც ამის გამართლებას შეეცდებიან. საზოგადოებამ რა უნდა ქნას?

ძალიან რთული კითხვაა. ამ პრობლემასთან ბრძოლას მხოლოდ ისეთი ინდივიდები შეძლებენ, ვისაც თავისი ძალის სწამთ. სახელმწიფოს ზეწოლის მხოლოდ იმას არ შეეშინდება, ვისაც თავდაჯერებულობის გარკვეული ხარისხი აქვს, ვისაც საკუთარი თავი უყვარს და საკუთარ პიროვნულ ავტონომიას პატივს სცემს. მას უნდა ესმოდეს, რატომ არის მისი პიროვნული თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეფემერული იდეები. ცხადია, ჩვენ ყველანი, გარკვეული დოზით, პოლიტიკური ცხოველები ვართ. იმდენად ვარსებობთ, რამდენადაც სოციალური კონტექსტი არსებობს. არ ვართ ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომები, მოქალაქეები და ამ სახელმწიფოს ცხოვრების თანასწორუფლებიანი მონაწილეები ვართ. თუკი პირველ ადგილას ინდივიდუალური თავისუფლება არ გაქვს დაყენებული, საზოგადოების ღირსეული წევრი და სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვერ იქნები. ეს ჩემთვის ძალიან მარტივი ჭეშმარიტებაა.

წინა ხელისუფლების დროს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რეალურად გისმენდნენ თუ არა. მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ შენ რომ დარწმუნებული იყავი, ყველას რომ უსმენენ. სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმი არა მხოლოდ რეალური ძალის გამოყენება, არამედ ამ ძალის გამოყენების საშიშროებაა.

თუ სწორად გავიგე, ყველამ თავისი პირადი უნდა დაიცვას, რომ შედეგს მივაღწიოთ.

აბსოლუტურად. ძლიერი სახელმწიფოც ძლიერ მოქალაქეზეა დამოკიდებული. ის, რასაც მამარდაშვილი მეტაფიზიკური გამჭვირვალობის რეჟიმს უწოდებდა, უნდა დაირღვეს. ჩვენ უნდა დავიწყოთ ადამიანის პირადი სივრცის აღიარება. ჯერ აღიარება და შემდეგ – პატივისცემა. ჩვენ უნდა დავიწყოთ იმაზე ფიქრი, რომელი დგას პირველ ადგილზე – ადამიანის, როგორც ინდივიდის თავისუფლება თუ ჩვენი კოლექტიური ინტერესები. ჩემი პასუხი ასეთია – ადამიანის ინდივიდუალური ღირსების პატივისცემის გარეშე, არ არსებობს ძლიერი კოლექტივი, ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი საზოგადოება.

ფარული ჩანაწერების თემაზე დისკუსიებში რამდენჯერმე გაჩნდა მოსაზრება, რომ სახელმწიფოსა და ჟურნალისტებს ამ მხრივ თანაბარი პასუხისმგებლობა აქვთ. მოგეხსენებათ, ფარული აუდიო და ვიდეო-ჩანაწერები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის. თუ არსებობს ეჭვი, რომ რომელიმე საჯარო მოხელის საძინებელში საჯარო ფული იხარჯება, რეპორტიორს შეჭყეტის უფლება აქვს?

რა თქმა უნდა, მე ყოველთვის სიტყვის თავისუფლების მხარეს ვარ. თუკი ლეგიტიმური ინტერესი არსებობს, შეიძლება ჟურნალისტმა საჯარო პირების საძინებელშიც შეაღწიოს. ფარული ჩანაწერების მეთოდის გამოყენება საგამოძიებო ჟურნალისტიკაში აბსოლუტურად სხვა სფეროა და ეს არანაირ საკანონმდებლო რეგულაციაში არ უნდა მოექცეს. ეს ყველაფერი ბეწვის ხიდზე გავლას გავს. ერთხელაც ვიტყვი, რომ მე სიტყვის თავისუფლების მხარეს ვარ. დანარჩენი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებია. ჩვენ საქმიანობას სახელმწიფოს ვურეგულირებთ. მედიის საქმიანობა ჩვენ არ უნდა დავარეგულიროთ. ერთადერთი რეგულირება ამ შემთხვევაში თვითრეგულირებაა. გამომძიებელი ჟურნალისტი, რომელიც საძინებლიდან არარელევანტურ დეტალებს გამაცნობს, ჩემი პატივისცემით ვერ ისარგებლებს და მისი მომხმარებელი აღარ ვიქნები.

ესაუბრა ირაკლი აბსანძე

ШОУ ДМС
ПЯТНИЦА 22:00 ПРЯМОЙ ЭФИР ВСЕМИРНЫЙ ЦИРК
tv9

გზავნილი: პასუხეს ხარ მარტო

საქართველოში მოქალაქეთა პირადი სივრცე სრულიად დაუცველი იყო წინა ხელისუფლების დროსაც და ახლაც დაუცველია – რამდენიმე ხნის წინ ინტერნეტით გავრცელებულმა პორნოკადრებმა ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

ირაკლი აბსანძე

ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ რეალობაში, სადაც ადამიანის პირადი სივრცე სრულიად დაუცველია. წლების განმავლობაში ვუყურებთ და ვუსმენთ აქტიური მოქალაქეების, პოლიტიკოსების საუბრების სატელევიზიო არხებით გამომზეურებულ შემთხვევებს. არც ერთი ასეთი ფაქტი ფარული ჩანაწერების მონაწილეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობით არ დასრულებულა.

შარშან „მეცხრე არხის“ რეპორტიორი ნოდარ ჩაჩუა სამოქალაქო ფორმიანმა ახალგაზრდა მამაკაცებმა ვერაზე გააჩერეს. შემდეგ დაბურულმინებიან მანქანაში ჩასვეს და ლეპტოპის ეკრანზე აჩვენეს ინტიმური ვიდეო მისი მონაწილეობით. ჩაჩუამ, შანტაჟის მიუხედავად, თანამშრომლობა არ მოისურვა და ინციდენტის შესახებ არხის ხელმძღვანელობას უამბო. მომდევნო შეხვედრაზე, რაც საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის გახსნილი ელ-ფოსტით შეათანხმეს, ნოდარს „მეცხრე არხის“ გადამღები ჯგუფიც გაჰყვა. შეხვედრა შსს-ს მიმდებარედ შედგა, ის კვლავ დაბურულმინიან მანქანაში ჩაისვეს და, როგორც თვითონ ჰყვება, პირველი ოპერატიული დავალებაც მისცეს – მას არხის თანამშრომელ ერთ-ერთ მამაკაცთან სექსი უნდა ჰქონოდა. ადგილს, სადაც ვიდეოგადაღება იქნებოდა შესაძლებელი, მოგვიანებით გეტყვითო, უთქვამთ. „მეცხრე არხმა“ მანქანისა და ერთ-ერთი მამაკაცის იდენტიფიცირება შეძლო, პროკურატურასაც მიმართა საქმის გამოძიების თხოვნით. მაგრამ შემთხვევას ნათელი არც ძველი და არც ახალი ხელისუფლების პირობებში არ მოჰფენია.

გაზეთმა „ბათუმელებმაც“ შეძლო მისი თანამშრომლის პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების მუქარით დამშანტაჟებლის ვინაობის დადგენა. პირი, რომელმაც ჟურნალისტი აჭარის კუდ-ის შენობაში დაიბარა, ამ უწყების თანამშრომელი იყო. მოგვიანებით ის თბილისში გადაიყვანეს. იმის მიუხედავად, რომ პროკურატურას გამოძიების თხოვნით მათაც მიმართეს, საქმე არ დაძრულა. „ბათუმელების“ ბოლო ჟურნალისტური გამოძიებით ირკვევა, რომ ეს პირი ახალი ხელისუფლების პირობებშიც ძალოვან უწყებაში მუშაობს.

ქართული სახელმწიფოს მიერ თავის მოქალაქეებზე უკანონო მიყურადების კიდევ ერთი შემთხვევა შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს. ჟენევის „მერიოტში“ საქართველოს შსს-ს ორი თანამშრომელი მაშინ დააკავეს, როცა ფოიეში მსხდარი სოზარ სუბარისა და ჟურნალისტ ვახო კომახიძის საუბრის აუდიო-ჩაწერას ცდილობდნენ. ქართველი ძალოვანები ორი კვირა ჰყავდათ წინასწარი დაკავების იზოლატორში. შვეიცარიელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ მათი გათავისუფლება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების ჩარევის შემდეგ მოხერხდა. შსს-ს ორივე თანამშრომელი შვეიცარიიდან გააძევეს. მანამდე საქართველომ საჭირო პროცედურებისთვის თანხაც ბიუჯეტიდან გადაიხადა. შემთხვევას შვეიცარიის პარლამენტში, ძალოვანების საქმიანობის შემსწავლელ კომისიაშიც ადასტურებენ, თუმცა დეტალებზე საუბარი არ სურთ.

ეს ფაქტები მათთვის, ვისაც ინტიმური ინფორმაციით ადამიანების დაშანტაჟება და სახელმწიფოსგან უკანონო მიყურადება ახალი ტენდენცია ჰგონიათ.

ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ რეალობაში, სადაც ადამიანის პირადი სივრცე სრულიად დაუცველია. წლების განმავლობაში ვუყურებთ და ვუსმენთ აქტიური მოქალაქეების, პოლიტიკოსების საუბრების სატელევიზიო არხებით გამომზეურებულ შემთხვევებს. არც ერთი ასეთი ფაქტი ფარული ჩანაწერების მონაწილეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობით არ დასრულებულა. სახელმწიფოს არ დაუსჯია კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის ჩამდენი პირები. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, ჩნდება ეჭვი, რომ ქვეყნის მიზანი მართლმსაჯულების

ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

განხორციელება კი არა, საკუთარი მოქალაქეების დაშინება იყო. ყველას უნდა დაგვეჯერებინა, რომ ჩვენ შესახებ ბევრი სხვადასხვანაირი ინფორმაციაა დაცული და „ჭკვიანად“ თუ არ მოვიქცევით, სახელმწიფო ამ ინფორმაციას ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს. არასოდეს ხარ მარტო – ესაა ამ ქმედებების მთავარი გზავნილი.

მარტო დარჩენა კი ადამიანის ერთ-ერთი უწინარესი უფლებაა. სახელმწიფომ „თავი უნდა დაგანებოს“, როცა საქმე შენს სექსუალობას, რელიგიურ მრწამს, მსოფლმხედველო-

ბას და სხვა ინტიმურ სფეროებს ეხება. ჩვენ, მოქალაქეებს, ჩვენი უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეული ნაწილის დელეგირება სახელმწიფოზე იმიტომ არ მოგვიხდენია, რომ ჩვენი საძინებლები, სალოცავი კუთხეები, წიგნის თაროები აკონტროლოს. ჩვენ სახელმწიფოს ძალის გამოყენების ექსკლუზიური უფლება საზოგადოების წევრი ინდივიდების უფლებების დასაცავად მივეცით.

გასულ კვირას ინტერნეტში გავრცელებულ პორნოგრაფიულ ვიდეოზე პასუხისმგებლობის აღება არც ძველ ხელისუფლებას სურს და არც ახალს. ერთის არგუმენტია, რომ მათი მმართველობის დროს ასეთი ხასიათის ვიდეოები არ გამოქვეყნებულა, მეორე გვიმტკიცებს – არც გამოქვეყნდებოდა, წინა ხელისუფლების დროს ძალოვანებს რომ არ გადაეღოთო. მოქალაქეები ორივე შემთხვევაში პრობლემასთან პირისპირ მიტოვებულები ვრჩებით.

ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ ეს ვითარება ძველსა და ახალ ხელისუფლებას ერთნაირად აწყობს. ხელისუფლების ბუნებიდან გამომდინარე, მას ყოველთვის აქვს ცდუნება, მოქალაქეების კონტროლის მეტი მექანიზმი შეინარჩუნოს. ამის გასამართლებლად ყოველთვის მოიძებნება კეთილშობილური მიზეზები. საბჭოთა კავშირში ეს დიადი კომუნიზმის მშენებლობა იყო, ფაშისტურ გერმანიაში – არიული რასისთვის სასიცოცხლო სივრცის უზრუნველყოფა. სახელმწიფოსგან პირადი სივრცის ხელყოფა მხოლოდ ქართული პრობლემა არ არის. თანამედროვე დასავლური სახელმწიფოების მოქალაქეებსაც დიდი ჯაფა ადგათ მარტო დარჩენის უფლების მოსაპოვებლად. ეს განსაკუთრებით აქტუალური გახდა დიდი ტერორისტული აქტების შემდეგ. ასე მაგალითად, ლონდონელი ჟურნალისტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის თანახმად, ქუჩებსა და დაწესებულებებში დამონტაჟებული ვიდეოთვალები აღნუსხავს ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების ყველა მომენტს. ანუ თუ სახელმწიფომ გადაწყვიტა, შეუძლია წუთის სიზუსტით აღბეჭდოს ფირზე ნებისმიერი ლონდონელის მოძრაობა ქალაქში. დასავლეთში ხშირად ამბობენ, რომ ესაა მსხვერპლი, რომლის გაღებაც კეთილდღეობის გამო უხდებათ. თუმცა იქ ბევრი მექანიზმი არსებობს, რომელიც მოქალაქეებს ტოტალური თვალთვალისგან იცავს.

ერთ-ერთი ასეთია პერსონალური ინფორმაციის ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციით, მალე საქართველოშიც ამუშავდება. ეს, რა თქმა უნდა, პანაცეა არ არის, მაგრამ, სწორი იმპლემენტაციის შემთხვევაში, შესაძლოა, ქმედით ინსტრუმენტად ჩამოყალიბდეს. ჯერჯერობით ინსპექტორის თანამდებობაზე კონკურსია გამოცხადებული. შერჩეული კანდიდატის პრინციპულობასა და კომპეტენტურობაზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოში ამ ინსტიტუტის ბედი.

მანამდე კი ქართულმა სახელმწიფომ ბოლო წლებში დაგროვილ ფარულ ჩანაწერებს უნდა მოუხერხოს რამე. პასუხისმგებელმა უწყებებმა უნდა დაგვარწმუნონ, რომ უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების განადგურების პოლიტიკური ნება არსებობს. პროცესი, ძლიერი საპარლამენტო კონტროლის პირობებში, მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს.

პირველი ტესტი გასულ კვირას გამოქვეყნებული ვიდეოჩანაწერის ავტორებისა და გამავრცელებლების გამოძიების საქმე იქნება. თუ სამართალდამცავებმა დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა მოახერხეს, შესაძლოა პანდორას ყუთს ახდილი თავსახური დაეფაროს. ცხადია, თუ გამოძიება მათ ბრალეულობას დაადგენს, უნდა დაისაჯონ ძალოვანი უწყებების ყოფილი ან ახლანდელი თანამშრომლებიც. მათგან პასუხისმგებლობის ასაცილებლად „მუნდირის ღირსების“ მოშველიება სრულიად არარელევანტური იქნებოდა.

ერთი პოზიტივიც იყო პორნოგრაფიული ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ ატეხილ აურზაურში – არც ერთ სატელევიზიო არხს ამ ვიდეოს არც ერთი კადრი არ გაუვრცელებია. ეს უკვე მნიშვნელოვანი პროგრესია ჩვენი პირადი ცხოვრების ხელყოფისგან დაცვის საქმეში. მოკლედ, ჟურნალისტებმა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტიმური სცენებით მანიპულატორებთან ბრძოლა მოვიგეთ. ახლა ჯერი სახელმწიფოზეა.

გასულ კვირას ინტერნეტში გავრცელებულ პორნოგრაფიულ ვიდეოზე პასუხისმგებლობის აღება არც ძველ ხელისუფლებას სურს და არც ახალს. ერთის არგუმენტია, რომ მათი მმართველობის დროს ასეთი ხასიათის ვიდეოები არ გამოქვეყნებულა, მეორე გვიმტკიცებს – არც გამოქვეყნდებოდა, წინა ხელისუფლების დროს ძალოვანებს რომ არ გადაეღოთო. მოქალაქეები ორივე შემთხვევაში პრობლემასთან პირისპირ მიტოვებულები ვრჩებით.

IOTA iOS-ისთვის

ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

IOTA iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიმუშები და ავრიდოდეს თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსანერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

სტუდენტების აქცია თვითმართველობის ძალადობის წინააღმდეგ უნივერსიტეტის მე-2 კორპუსთან, 19 აპრილი, 2011

"ლაბორატორია 1918" - სუბკულტურა სისტემის პირისპირ

სტუდენტური მოძრაობა, „ლაბორატორია 1918“ ორი წლის წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და დროთა განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ საზოგადოებრივ მოძრაობად იქცა. სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ახალგაზრდები მემარცხენე ხედვით და გამოკვეთილი სოციალური მოთხოვნებით გაერთიანდნენ, თუმცა იდეოლოგიურმა სიჭრელემ, რადიკალურმა პოზიციამ და სხვა ფაქტორებმა ჯგუფს საკმაოდ ბევრი პრობლემა შეუქმნა.

ავტორი, ფოტო: გიორგი გოგუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ქვედა სართულზე, პატარა აუდიტორიაში ოცამდე სტუდენტია შეკრებილი. დღეს დასვენებაა, ამიტომაც მთელ შენობაში ეს ერთადერთი დაკავებული ოთახია. დახურულ კარს მიღმა გამართული ხმამაღალი კამათი ქვის გრძელ, ცარიელ დერეფანს შემაწუხებელ ექოდ გასდევს. ადვილი მისახვედრია, საღამოს 7 საათზე, თან უქმე დღეს, აქ ლექცია არ უნდა იმართებოდეს. ეს სტუდენტური მოძრაობა „ლაბორატორია 1918-ის“ მორიგი შეხვედრაა: ჯგუფი უკვე ერთი საათია, უშედეგოდ ცდილობს, პირველი მაისის ხმაურიანი აქციის შემდეგ მათთვის დაკისრებული ჯარიმების გადასახდელად თანხის შეგროვების საკითხი გადაწყვიტოს.

სხვადასხვა საკითხზე მსგავსი დაძაბული კამათი ლაბორატორიის წევრებისთვის არცთუ უჩვეულოა, რაც, როგორც თვითონ ამბობენ, მათი ძლიერი მხარეცაა და სუსტიც. ერთი მხრივ, აქ გაერთიანებულ სხვადასხვა იდეებისა და შეხედულებების მქონე ადამიანებს (სოციალ-დემოკრატებს, ნეომარქისტებს, ანარქისტებს, ფემინისტებსა და ა.შ.) შესაძლებლობას აძლევს, ერთმანეთს თავიანთი აზრები გაუზიარონ, ხოლო მეორე მხრივ, მსგავსი იდეური სხვადასხვაობა ხშირად პრინციპულ შეუთანხმებლობას იწვევს. „თითქოს არსებობს ერთიანი იდეოლოგიური პლატფორმა, „ლაბორატორიაში“, ძირითადად, მემარცხენე შეხედულების მქონე სტუდენტები არიან გაერთიანებულები, მაგრამ საერთო ჯამში ერთიანი იდეოლოგია მაინც არ გვაქვს: მსგავსი ტიპის ჯგუფში უფრო მჭიდრო ურთიერთშეთანხმება უნდა არსებობდეს და იდეოლოგიურ საკითხებზე კამათი აღარ უწევდეთ“, – ამბობს მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი წევრი, სოციოლოგი, ხატია ნადარაია.

„ლაბორატორია 1918“ ორი წლის წინ, 2011 წლის აპრილში ჩამოყალიბდა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უფრო ზუსტად კი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. რამდენიმე კვირით ადრე, სტუდენტური გაერთიანება „თარგმნეს“ პრეზენტაცია, სასწავლო მასალის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემის შესახებ, მხარდამჭერებსა და თვითმმართველობის წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირებით დასრულდა, რასაც სტუდენტური პროტესტი მოჰყვა. უნივერსიტეტის თვითმმართველობასთან შეხლა-შემოხლა „ლაბორატორიის“ ახლანდელ წევრებს მანამდეც ჰქონიათ, თუმცა ეს ფართო განხილვის თემად 2011 წლის 16 აპრილის შემდეგ იქცა. რამდენიმე დღეში, უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ, სამასამდე ახალგაზრდამ ძალადობის წინააღმდეგ გამართა აქცია, რომელსაც სხვადასხვა უმაღლესი

სასწავლებლის სტუდენტებიც უერთდებოდნენ. მაშინ „ლაბორატორია 1918“, როგორც მოძრაობა, ჯერ კიდევ არ არსებობდა, თუმცა იყვნენ სასწავლო პროცესითა და, ზოგადად, უნივერსიტეტში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილო სტუდენტები, რომლებიც ცვლილებებისთვის იბრძოდნენ.

„ლაბორატორია 1918“ იქნება სტუდენტთა და პედაგოგთა თვითორგანიზაციის პრინციპზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სივრცის მოდელი უნივერსიტეტში, სადაც პროფესიონალებთან ერთად ვიმუშავებთ თავისუფალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისათვის და უნივერსიტეტი გახდება სამოქალაქო საზოგადოების ავანგარდი. სწორედ ამგვარ უნივერსიტეტს იმსახურებს საზოგადოება, რომელიც უარს ამბობს თვითმოტყუებასა და ძალისადმი მორჩილებაზე, და ორიენტაციას იღებს განვითარებასა და თავისუფლებაზე.“ – წერდნენ სტუდენტები 2011 წელს გამოქვეყნებულ პირველ მანიფესტში.

ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ამ ახალგაზრდებს უკვე ჰქონდათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული კურსი, რომელსაც მოძრაობის განვითარების შემთხვევაში გაჰყვებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათი აზრით, უმთავრესი მიღწეული შეთანხმება, „ლაბორატორიაში“ ჰორიზონტალურობის პრინციპი იყო, რაც რაიმე სახის ლიდერობის უარყოფასა და ჯგუფის ყველა წევრის თანაბარ პასუხისმგებლობას გულისხმობდა. თუმცა, იდეოლოგიური სიჭრელის გამო, მწვავე შიდა ჯგუფური კამათი, ზოგჯერ კი დაპირისპირება, შეკრებების დროს არცთუ იშვიათი შემთხვევა იყო, განსაკუთრებით იმ წევრებთან მიმართებაში, რომლებიც, ამავე დროს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები იყვნენ. „მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებს, როგორც პარტიას, „ლაბორატორიაზე“ განსაკუთრებული გავლენა არასდროს ჰქონია, მაინც ხშირი იყო კამათი იმაზე, ყოფილიყვნენ თუ არა ჯგუფში პარტიის წევრები. თუმცა ფაქტია, პარტიის წევრი რამდენიმე სტუდენტი, ამავე დროს, „ლაბორატორიის“ დამაარსებელი იყო, ამიტომაც მათი ჯგუფისგან გამიჯვნა ზედმეტად ხელოვნური და არასწორი გადაწყვეტილება იქნებოდა“, – იხსენებს ხატია ნადარაია.

„ლაბორატორიელების“ ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთი მხრივ, სწორედ ამ იდეურმა განსხვავებამ და კონკრეტულ ნაბიჯებზე მუდმივმა კამათმა შეაკავშირა მოძრაობა ამდენ ხანს. „ჩვენს შემთხვევაში, კონსესუსის მეთოდმა ძალიან გაამართლა. მართალია, ამის გამო, მოკლევადიან პერსპექტივაში გადაწყვეტილების მიღება, ხშირად, რთულდება, მაგრამ ამან არგუმენტირებული დისკუსიისკენ გვიბიძგა“, – ამბობს „ლაბორატორია 1918-ის“ წევრი, მათე გაბიძინაშვილი.

მართალია, შიდა ჯგუფში ეს პრობლემა, ჰორიზონტალურობის პრინციპით, საბოლოოდ, ასე თუ ისე გადაიჭრა, მაგრამ რაც უფრო აქტიურდებოდა „ლაბორატორია“ სოციალურ სივრცეში, მოწინააღმდეგეები მათ უფრო მეტად აიგივებდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ სხვადასხვა საპროტესტო აქციაზე, ძირითადად, სწორედ სოციალ-დემოკრატები აქტიურობდნენ ყველაზე მეტად.

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ორგანიზაცია „ლიბერალური განათლების ქართულ-ამერიკული ინიციატივის“ დამფუძნებელი, ჩარლზ ფერბენქსი მიიჩნევს, რომ „ჰორიზონტალური გადანაწილება ეფექტური მხოლოდ მცირე ჯგუფების შემთხვევაშია“, ხოლო ისეთ დიდ ჯგუფებს, როგორიც დროთა განმავლობაში „ლაბორატორია“ გახდა, ლიდერი სჭირდებათ.

დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, „ლაბორატორია 1918“ მართლაც აღარ იყო ვიწრო სტუდენტური მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ პირველ მანიფესტში „ლაბორატორია“ მთავარ მიზნად უნივერსიტეტში არსებული პრობლემების გამოსწორებას ასახელებდა, მოძრაობა, სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გასცდა და უფრო ფართო სოციალურ პრობლემებს გადასწვდა. „მხოლოდ სასწავლებლის შიგნით მოძრაობა შედეგს ვერ მოგვცემდა. ჩვენ უნივერსიტეტის ავტონომიას ვითხოვდით, ეს კი უფრო მეტად სისტემური პრობლემაა, ვიდრე საუნივერსიტეტო“, – ამბობს „ლაბორატორია 1918-ის“ ანარქისტული ფრთის წარმომადგენელი, თორნიკე ჩივაძე. შედეგად, მათ ლოზუნ-

რაც უფრო იზრდებოდა მათი საპროტესტო არეალი, მით მეტად იკვეთებოდა პრობლემები, რომლებიც ხშირად მათვე უშლიდათ ხელს - ძირითადად კი ამ პრობლემებს მათი სპონტანურობა და ორგანიზების სისუსტე იწვევდა: „ჩემი დაკვირვებით, „ლაბორატორიის“ საქმიანობის და მისწრაფებების ძალიან დიდი წილი, ეპატაჟისკენ, თავის გამოჩენისკენაა მიმართული. შეიძლება, მათი ღირებულებები და მიზნები საზოგადოების მხარდაჭერაა, თუმცა მოქმედება ხშირად ზედმეტად ეგოცენტრულია“, – ამბობს პოლიტოლოგი მარინა მუსხელიშვილი.

„ლაბორატორია 1918-ის“ წევრები ფილარმონიასთან გამართულ აქციაზე ციხეში ძალადობის წინააღმდეგ, 19 სექტემბერი, 2012

გებში უფრო მეტად ჩნდებოდა პროტესტი „მჩაგვრელი სისტემის“, „კაპიტალიზმის“, ამ სისტემაში დასაქმებულების, როგორც „თანამედროვე მონების“ მიმართ და ა.შ.

რაც უფრო იზრდებოდა მათი საპროტესტო არეალი, მით მეტად იკვეთებოდა პრობლემები, რომლებიც ხშირად მათვე უშლიდათ ხელს – ძირითადად კი ამ პრობლემებს მათი სპონტანურობა და ორგანიზების სისუსტე იწვევდა: „ჩემი დაკვირვებით, „ლაბორატორიის“ საქმიანობის და მისწრაფებების ძალიან დიდი წილი, ეპატაჟისკენ, თავის გამოჩენისკენაა მიმართული. შეიძლება, მათი ღირებულებები და მიზნები საზოგადოების მხარდაჭერაა, თუმცა, მოქმედება ხშირად ზედმეტად ეგოცენტრულია“, – ამბობს პოლიტოლოგი მარინა მუსხელიშვილი. მისი აზრით, არასწორია, როდესაც ჯგუფის მიერ წინასწარ მიღებულ გადაწყვეტილებასა და გეგმებს შუა დემონსტრაციის დროს რომელიმე წევრი თვითნებურად ცვლის: „მას შემდეგ, რაც „ლაბორატორიის“ პროტესტი ხალხის უფრო ფართო მასებს შეეხო, ვიდრე უნივერსიტეტია, მათ მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. ამ პასუხისმგებლობას კი გააზრება სჭირდება“.

საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობასთან ერთად იზრდებოდა „ლაბორატორია 1918-ის“ მოთხოვნებიც. მათი ლოზუნგები უფრო და უფრო მეტად მკაცრი და რადიკალური ხდებოდა: ადრინდელისაგან განსხვავებით, ისინი უკვე აღარ ერიდებოდნენ თავიანთ იდეოლოგიურ შეხედულებებზე ღიად საუბარს: „ჩვენი მოთხოვნები არა უბრალოდ სოციალური, არამედ სოციალისტურია და ამის თქმის არ გვეშინია“, – რუპორში აცხადებდა თორნიკე ჩივაძე პირველ წელს, პირველ მაისს გამართულ აქციაზე მანამ, ვიდრე დემოსტრანტები სისტემის ლანძღვა-გინებით გაჯერებული ტრანსფარანტებით, პულვერიზატორებითა და ანარქისტული შავ-წითელი

დროშებით ხელში თბილისის ქუჩებში მარშირებას დაიწყებდნენ. სწორედ ამ აქციას მოჰყვა „ლაბორატორია 1918-სა“ და პოლიციას შორის პირველი ფიზიკური დაპირისპირება და სოციალურ ქსელებში საზოგადოების საკმაოდ მწვავე რეაქცია.

„მართალია, ქუჩის პროტესტი, განსაკუთრებით საქართველოსნაირ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ როდესაც აქციას აწყობ საზოგადოების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ ლოზუნგს, ნებისმიერ სიტყვას, რომელსაც იყენებ. „ლაბორატორია 1918“ კი, ხშირად ხალხს პირიქით, მის წინააღმდეგ განაწყობს, თუნდაც სიტყვის, FUCK -ის ძალიან ხშირად გამოყენებით“, – ამბობს ჩარლზ ფერბენქსი.

გასული წლის სექტემბერში აგორებული ციხის სკანდალის დროს, როდესაც „ლაბორატორია“ სტუდენტური საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზატორი იყო, ფერბენქსმა მათ დახმარება შესთავაზა: „მასობრივი აქციის ორგანიზებისათვის ისეთი აუცილებელი აღჭურვილობაც კი არ ჰქონდათ, როგორიც ხმის აპარატურაა, თუმცა როდესაც ფინანსური დახმარება შევთავაზეთ, უარი მივიღეთ“, – იხსენებს ილიას უნივერსიტეტის პროფესორი. სხვადასხვა სახის შეთავაზებებს, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბებას, „ლაბორატორია 1918“ მანამდეც იღებდა, თუმცა მოძრაობის წევრები კატეგორიულ უარზე რჩებოდნენ. მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ ნებისმიერი სახის იურიდიული ჩარჩო მათ თავისუფლებას შეზღუდავდა.

ჩარლზ ფერბენქსი ამ ერთგვარი გაჯიუტების ორ შესაძლო მიზეზზე საუბრობს:

„ლაბორატორიის“ წევრები თითქოს მონუსხულები არიან მე-20 საუკუნის სამოციანი წლების ამერიკული და ევროპული სოციალურ-კულტურული მოძრაობების სპონტანურობით. „თუმცა, თუ ისინი მაგალითს მართლაც სამოციანი წლებიდან იღებენ, დიდი შეცდომაა, რადგანაც იმდროინდელი მოძრაობები ბევრად მასობრივი იყო, „ლაბორატორიას“ კი მსგავსი მასშტაბის პროტესტის აგორების რესურსები არ აქვს“.

მართალია, თვითონ „ლაბორატორიელები“ თავს სამოციანელების მიმდევრებად არ მიიჩნევენ, თუმცა, ფაქტია, მათ პირველ შეკრებებში საკმაოდ ხშირად საუბრობდნენ 1968 წლის საფრანგეთში მასობრივ სტუდენტურ გამოსვლებზე და ჰორიზონტალურობის პრინციპის იდეაც სწორედ აქედან გაჩნდა, ისევე როგორც მათი მთავარი ლოზუნგი: "თავისუფლება, სოლიდარობა, თანასწორობა".

მეორე მიზეზი კი, ფერბენქსის აზრით, შეიძლება, დღევანდელ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების საკმაოდ საეჭვო რეპუტაცია იყოს: „მაშინ, როდესაც არასამთავრობოების უმეტესობა ზოგიერთი ადამიანისთვის მხოლოდ შემოსავლისა და ერთგვარი ძალაუფლების წყაროა, გასაგებია, რატომ არიდებენ სტუდენტები მათ თავს“.

„ვფიქრობ, ორგანიზებაზე, ლიდერებზე და დაფინანსებაზე უარის თქმა მოძრაობას ბევრად ნაკლებ შედეგიანს ხდის, ვიდრე შეეძლოთ, რომ ყოფილიყვნენ“, – ამბობს ფერბენქსი.

შედეგიანობის პრობლემაზე თვითონ „ლაბორატორიელებიც“ საუბრობენ: „ჩვენ გვესმის, რომ შეუძლებელია კაპიტალიზმი რამდენიმე საპროტესტო გამოსვლით დაამარცხო“ ,– ამბობს ხატია ნადარაია და განმარტავს, რომ მათი გამოსვლები, ჟესტები, დროშები და ლოზუნგები სიმბოლურია და საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენას უფრო ისახავს მიზნად, ვიდრე „რამდენიმე დღეში სისტემის დანგრევას“. „ლაბორატორია 1918“ სწორედ საზოგადოების აღქმებსა და ღირებულებებზე აპელირებას, ამა თუ იმ სოციალური პრობლემისადმი მათი ყურადღების გამახვილებას და სოციალური თვითშეგნების ამაღლებას მიიჩნევს თავის მთავარ მიზნად.

„ბოლო ოცი წლის განმავლობაში ისინი პირველები იყვნენ, ვინც აქციები კონკრეტული სოციალური მოთხოვნებით გამართა და არა პრეზიდენტის ან რომელიმე მაღალჩინოსნის გადადგომის მოთხოვნით. ამიტომაც მგონია, რომ „ლაბორატორია 1918-ის“, როგორც სოციალური მოძრაობის ჩამოყა-

„ვფიქრობ, ორგანიზებაზე, ლიდერებზე და დაფინანსებაზე უარის თქმა მოძრაობას ბევრად ნაკლებ შედეგიანს ხდის, ვიდრე შეეძლოთ, რომ ყოფილიყვნენ“ – ამბობს ფერბენქსი.

ლიბება, დღევანდელი საქართველოსთვის პროგრესული მოვლენაა“, – ამბობს ჟურნალისტი ია ანთაძე. ამ აზრს „ლაბორატორიის“ კრიტიკოსთა ნაწილიც ეთანხმება. „მსგავსი ჯგუფების არსებობა და მათი საპროტესტო გამოსვლები ძალიან მნიშვნელოვანია მაშინაც კი, თუ მოქმედებისას შეცდომებს უშვებენ“, – აღნიშნავს ჩარლზ ფერბენქსი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული კიდევ ერთი სტუდენტური მოძრაობის, „ნარინჯისფერთა კლუბის“ წევრი, ლევან ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ სტუდენტების სოციალური კუთხით გააქტიურება სწორედ „ლაბორატორია 1918-ის“ დამსახურებაა.

პირველ მაისს გამართული აქცია ამ სტუდენტური მოძრაობის ორწლიანი ისტორიის მანძილზე გარდამტეხი აღმოჩნდა. ხმაურიანი მსვლელობის შემდეგ პოლიციასთან შეტაკებამ და ოცდაათამდე აქტივისტის დაკავებამ საკმაოდ ბევრი პრობლემა წამოწია წინ: შიდაჯგუფური ორგანიზებით დაწყებული, საზოგადოების განწყობით დამთავრებული. ჯგუფის ზოგი წევრი დაშლაზეც კი საუბრობდა. მომავალზე საუბრისას ისინი აღიარებენ, რომ ორგანიზებულობა მათი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარეა, რომლის გამოსწორებაც მოძრაობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დღეისათვის, საზოგადოების ნაწილი სტუდენტების ამ ჯგუფს სოციალურ-კულტურულ, ნაწილი კი პოლიტიკურ მოძრაობად, ნაწილი კი ერთგვარ სუბკულტურად აღიქვამს. როგორც პოლიტოლოგი, მარინა მუსხელიშვილი ამბობს, მთავარი თავად ჯგუფის თვითაღქმაა: „მნიშვნელოვანია, „ლაბორატორია 1918-მა“ თავისი მიზნები გაიაზროს არა როგორც პოლიტიკურმა ერთობამ, არამედ როგორც სუბკულტურამ, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპების წინააღმდეგ იბრძვის“.

აქცია მშრომელთა სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით, 1 მაისი, 2013

აზერბაიჯანელი აქტივისტები ევროპაში თავისუფალ ტელევიზიას აარსებენ

აზერბაიჯანელი ჟურნალისტები ცდილობენ თავისუფალი სატელევიზიო არხები ქვეყნის გარეთ დაარსონ და ქვეყნის მოსახლეობას ასე მიაწოდონ ობიექტური ინფორმაცია.

სეიმურ ქაზიმოვი

15 მაისიდან ევროპაში აზერბაიჯანული არხი „meidan TV“ დაიწყებს ფუნქციონირებას. არხი Turksat სატელიტის მეშვეობით და თურქეთის „Media TV“-სთან თანამშრომლობით იმაუწყებლებს. მისი გადაცემების ნახვა შესაძლებელი იქნება ყოველ ოთხშაბათს, დღის მეორე ნახევარში. ამას გარდა, „meidan TV“ -ის გადაცემების ყურება ინტერნეტითაც შეიძლება, მათი ჩანაწერები პროექტის ვებსაიტზე დაიდება.

გურბან დაღლი, „მეიდანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ამბობს, რომ არხის გახსნის გადაწყვეტილება მისმა ყველა დამფუძნებელმა (ემინ მილი, ჰებიბ მუნტეზირი, ჯამალ ალი, ფარდი ჰუსეინვანდი) ერთად, 2013 წლის მარტში პრაღაში დაგეგმილ შეხვედრაზე მიიღო. არხის ვებსაიტია www.meydan-tv.com.

ემილ მილი ერთ-ერთი იმ პროექტის დირექტორია, რომელიც „აზერბაიჯანის დემოკრატიული გაერთიანების“ ეგიდით ხორციელდება. დასახელებული ორგანიზაცია (Vereinigung für die Demokratie in Aserbaidschan) ოფიციალურად ბერლინშია რეგისტრირებული.

„meidan TV“ ყველა დამფუძნებელი ამჟამად ბერლინში ცხოვრობს. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ არხის გახსნასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო ახლა ბერლინში ტარდება. დაღლის თქმით, მათი პროექტი უმთავრესად შემოწირულობებით ფინანსდება. „სახსრებს, რომელთა მოკრებაც აქამდე მოხერხდა, აზერბაიჯანის მოქალაქეებისა და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შემონატანები შეადგენს“, - ამბობს დაღლი, „დღემდე შეგროვებული 18 000 ევროდან მეტი წილი ტექნიკური აღჭურვილობისა და სამაუწყებლო დროის შეძენას მოხმარდა.“

დაღლი ამბობს, რომ საკუთრივ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, დამოუკიდებელი ელექტრონული მასმედიისა და, ზოგადად, თავისუფალი მედიის დევნის პირობებში ამგვარი ტელევიზიის დაარსება შეუძლებელი იყო. სამაუწყებლო სიხშირეები ქვეყანაში ალიევის რეჟიმის გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკური ნების მიხედვით ნაწილდება. არხის სამაუწყებლო პოლიტიკის თანახმად, მან აზერბაიჯანული დამოკიდებული მასმედიისთვის დამოუკიდებლობის ეტალონის როლი უნდა შეასრულოს. „meidan TV“ სამაუწყებლო დროს მხოლოდ ანალიტიკურ და საპოლემიკო გადაცემებს არ დაუთმობს, მისი ინტერესები თანაბრად გადანაწილდება კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის სფეროებზე, სატირასა და დიასპორის ცხოვრებაზე და ა.შ.

ჰებიბ მუნტეზირი, არხის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, სოციალური მედიის აქტივისტი დასძენს, რომ პროექტი „მეიდანი“ ის პლატფორმა გახდება, რომელიც აზროვნების, იდეების ნაირგვარობის წარმოჩინებას შეუწყობს ხელს, პოლიტიკური პარტიების წევრებს კი საშუალებას მისცემს მაყურებელს საკუთარი უნიკალური ხმა მიაწვდინოს. „ჩვენ აუდიტორიას ისეთ ტელესივრცეს ვთავაზობთ, სადაც პოლიტიკური, საზოგადოებრივი დებატები, ნებისმიერი სხვა ტიპის დისკუსია გახდება შესაძლებელი. ‘’

■ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, დამოუკიდებელი ელექტრონული მასმედიისა და, ზოგადად, თავისუფალი მედიის დევნის პირობებში ამგვარი ტელევიზიის დაარსება შეუძლებელი იყო. სამაუწყებლო სიხშირეები ქვეყანაში ალიევის რეჟიმის გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკური ნების მიხედვით ნაწილდება.

უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის ნაციონალურ არხებს საერთაშორისო სიხშირეებზე მაუწყებლობის პრაქტიკა უკვე აქვთ.“

სეუმურ ჰაზი, „აზერბაიჯანის დროის“ რედაქტორი ამბობს, რომ თავისუფალი სატელევიზიო არხის იდეა მართლაც არაა ახალი. თავისუფალი ტრიბუნის და ალტერნატიული საინფორმაციო წყაროს არსებობა ქვეყანაში ყოველთვის აქტუალური იყო. პირველმა ეს გაზეთმა „აზადლიქმა“ მოახერხა. მისი საკუთარი არხის - „აზერბაიჯანის დრო“ - მაუწყებლობა პირველად 2012 წლის 6 აპრილს დაიწყო, არხის Europe Channel მეშვეობით.

სეიმურ ჰაზი ამბობს, რომ მაშინ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ არხის მაუწყებლობა ჩაშლილიყო. „მთავრობის პირველი მცდელობები არხის გაუქმებისკენ იყო მიმართული. მათ Europe Channel-ის ხელმძღვანელობაზე დაიწყეს ზეწოლა. მაშინ ჩვენ „media TV“-სთან დავდეთ შეთანხმება და მაუწყებლობა გავაგრძელეთ.“ ამ არხის ბიუჯეტი აზერბაიჯანელი ბიზნესმენების, უფრო მეტად კი აზერბაიჯანის ჩვეულებრივი მოქალაქეების შემოწირულობებზე დგას. „მაუწყებლობის გასაგრძელებლად ფული, ასე ვთქვათ, სამოყვარულო ხერხებით გროვდებოდა. სხვაგვარად არ გამოდიოდა, მთავრობა საბანკო ოპერაციებში ჩარევასაც ახერხებდა.“ ახლა არხი კვირაში ორ დღეს, შაბათს და კვირას მაუწყებლობს.

ეტიბარ ჰუსეინოვი, აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი და სატელევიზიო გადაცემის „sitatin sonu“-ს ავტორი „აზერბაიჯანის დროს“ აკრიტიკებს. მისი თქმით, არხი მთავრობისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლებს არ იწვევს, თან ინფორმაციას მიკერძოებით ავრცელებს. სეიმურ ჰაზი მის კომენტარს არ ეთანხმება: „გადაცემებში მოსაწვევად მათთვის არაერთხელ მიგვიმართავს, მაგრამ საკმარისი იყო, ჩვენი არხის სახელწოდება გაეგოთ, ყურმილს მაშინვე კიდებდნენ.“

მედია-ექსპერტი ზეინალ მამადლი მიიჩნევს, რომ ამგვარი არხების არსებობა ძალზე სასარგებლოა აზერბაიჯანში აზრთა პლურალიზმის დასამკვიდრებლად. „აზერბაიჯანულ მედიაში აზროვნების თავისუფლების, ალტერნატიული აზრის ნაკლებობაა. ამგვარი მედია კი შემწყნარებლური ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს, ყველა მხარეს აძლევს შესაძლებლობას, ადამიანებს საკუთარი ხმა მიაწვდინოს.“

მარცხნიდან მარჯვნივ: გურბან დაგლი (Meydan TV-ს დამაარსებელი), ჯემ ოზდემირი (მწვანეთა პარტიის თანათავმჯდომარე გერმანიაში), ემინ მილი (Meydan TV-ს პროექტის დირექტორი), ვიოლა ფონ კრამონი (მწვანეთა პარტიის დეპუტატი ბუნდესტაგში) და ჰაბიბ მუნტეზირი (Meydan TV-ს დამაარსებელი).

ალი ჰასანოვი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ აზერბაიჯანში ვერავინ იტყვის, თითქოს მედიის ფუნქციონირებას რაიმე დაბრკოლებები ექმნება: „პირიქით, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოთქმული პრეტენზიების საპირისპიროდ, აზერბაიჯანში თავისუფალი მედია ნამდვილად არსებობს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენს საზოგადოებას მსგავსი პრობლემა არ აქვს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თავისუფალი მედია არსებობს, ჟურნალისტს ინფორმაციაზეც თავისუფლად მიუწვდება ხელი და მისი გავრცელებაც თავისუფლად შეუძლია.“

„ფრიდომ ჰაუსი“, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, ჰიუმან რაითს უოჩი“ და სხვა ორგანიზაციები საკუთარ ანგარიშებში აზერბაიჯანის ხელისუფლებას რეგულარულად აკრიტიკებენ მედიასთან დაკავშირებული შექმნილი სიტუაციის გამო.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ჰას შეცვლის კონკურენციის ახალი პოლიტიკა?

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, მედიასთან საუბარში აცხადებდა, რომ ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური გაზაფხულზე ამოქმედდებოდა. თუმცა კონკურენციის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. ეკონომიკის სამინისტრო ცვლილებების ინიცირებას პარლამენტში უახლოეს მომავალში აპირებს.

თათია ხალიანი

ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

„რატომ არის საქართველოში ამდენი აფთიაქი?“ – ვკითხე რამდენიმე დღის წინ ლიკას, ჩემს ქართველ მეგობარს.

„სასაცილოა. ამას წინათ მეც ამაზე ვფქიროობდი. არ ვიცი, ალბათ შემოსავლიანი საქმეა ან ფულის გათეთრების კარგი საშუალება,“ – მითხრა მან და დაამატა „მომწონს ეს ტენდენცია, როცა არსებობს რაღაცის ახსნა და ფიქრობ, რომ ეს ფულის გათეთრების საეჭვო სქემაა.“

„საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარს დისტრიბუციის, ვაჭრობისა და წარმოების სფეროებში უდიდესი წილის მქონე ორი ძირითადი კომპანია აკონტროლებს. ამ კომპანიებს მონოპოლია რომც არ ჰქონდეთ, ისინი ბოლო ხანებში პრივატიზებულ სადაზღვევო და ჰოსპიტალურ ბაზრებზე უკვე აქტიურები არიან. ეს კომპანიები კლინიკებს ფლობენ და სხვადასხვა დონეზე ინტერესთა კონფლიქტს ქმნიან, რაც მომხმარებლისთვის, მისი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანობის თვალსაზრისით სასარგებლო სულაც არ არის. თუმცა ისინი არ კონტროლდებიან, როდესაც მათგან ვყიდულობთ იმას, რაც მათ უნდათ მათ მიერვე მანიპულირებად ფასებად.“

ეს ამონარიდებია წიგნიდან „ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012 წლებში“, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსა“ და ჟურნალისტ პოლ რიმპლის ერთობლივი ნაშრომია. წიგნში საუბარია თუ როგორ მოხდა გარკვეული კომპანიების მონოპოლისტებად ჩამოყალიბება ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ტელემაუწყებლობა, კომუნიკაციები, სარეკლამო ბაზარი, ნავთობის იმპორტი და დისტრიბუცია, ფარმაცევტული ბაზარი და სასარგებლო წიაღისეული.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოში ანტიმონოლოპიური რეგულირება და კონკურენციაზე ზედამხედველობა ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა. საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური ჯერ კიდევ 1992 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა. 1997 წელს ის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ანტიმონოპოლიური სამსახური „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“ კანონის აღსრულებაზე იყო პასუხისმგებელი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2005 წელს, ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და სანაცვლოდ მკვეთრად შეზღუდული ფუნქციების მქონე „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ შეიქმნა, რომელიც 7 კაცისგან დაკომპლექტდა.

დღეისათვის სააგენტოს ფუნქცია კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის იმპლემენტაცია, სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაცია და სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგია. ექსპერტების შეფასებით, სამივე ფუნქცია თავისი არსით ერთმანეთისგან განსხვავებულია, ამიტომ ამ ფუნქციების გაერთიანება და ერთი სააგენტოსთვის დაკისრება ხელს უშლის კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიან აღსრულებას.

გარდა ამისა, მუდმივი განხილვის საკითხი იყო სააგენტოს დამოუკიდებლობა. არსებული კონკურენციის კანონი მთავრობას სააგენტოს მიმართ დიდ უფლებამოსილებას ანიჭებს. მთავრობა ამტკიცებს სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს და სააგენტო საჩივრებს მხოლოდ ამ პრიორიტეტების შესაბამისად განიხილავს. ასევე მოკვლევის დაწყება კონკურენციის სააგენტოს მხოლოდ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე შეუძლია.

2010 წელს ევროკავშირის რეკომენდაციით სააგენტო დამოუკიდებელ სტრუქტურად გადაკეთდა, თუმცა მისი უფლებამოსილებები არ შეცვლილა. 2011 წლის დეკემბერში კი შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოები გარეთიანდა და „კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ შეიქმნა.

2012 წლის მაისში ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ შესახებ კანონი მიიღო. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ კონკურენციის პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა კანონი მთელ რიგ ნაკლოვანებებს შეიცავდა.

არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ანტიმონოპოლიური რეგულირება და კონკურენციის პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გატარება სახელდებოდა. ეკონომიკის სამინისტროში საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად „თავისუ-

პროექტის მიხედვით, კონკურენციის სააგენტო გამოეყოფა შესყიდვების საგენტოს, იქნება დამოუკიდებელი უწყება, გაზრდილი უფლებამოსილებებით და ექნება საკმაოდ დიდი დისკრეცია. სააგენტოს თავჯდომარეს კი საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

ფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი მომზადდა. კანონპროექტში კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია მოცემული. პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემთხვევში კი შეიქმნება დამოუკიდებელი ორგანო – კონკურენციის სააგენტო, რომელიც ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკას დაარეგულირებს. როგორც სამინისტროში ამბობენ, მაისის ბოლოსთვის მიმდინარე საჯარო განხილვების დასრულების შემდეგ, კანონპროექტი განსახილველად პარლამენტს წარედგინება.

„ახალი კონკურენციის სააგენტო არსებული მონოპოლიების და კარტელური შეთანხმებების დაშლაზე იმუშავებს. ეს არ იქნება არსებული ბიზნესების წინააღმდეგ მიმართული ინსტიტუტი, ეს იქნება ბაზრის გახსნაზე ორიენტირებული ორგანო. შემდეგ ეტაპზე სააგენტოს მუშაობას პრევენციის ხასიათი ექნება“, – ეს განცხადება ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირკაშვილმა მედიასთან იანვარში, კანონპროექტზე მუშაობის დასაწყისში გააკეთა.

ცვლილებების პროექტის მიხედვით, კონკურენციის კანონის მოქმედების სფერო გაფართოვდა. თუკი არსებული კანონი ზოგადია და ისეთ ქმდებებზე ვრცელდება, რომელიც შესაბამის ბაზარზე ხორციელდება და მართლზომიერად ზღუდავს საქართველოს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებულ თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციას. ცვლილებების თანახმად, კანონი მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს, ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს და სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.

მაგალითად, აკრძალულია კომპანიებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიზანია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. კერძოდ, გასაყიდი ან შესაძენი ფასების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება). წარმოების, ბაზრების, ტექნიკური განვითარების, ან ინვესტიციების შეზღუდვა. სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებით შელახვას იწვევს.

არსებული კანონისგან განსხვავებით პროექტი საჩივრის განხილვისთვის საფასურის დაწესებას არ ითვალისწინებს.

რაც შეეხება სააგენტოს ფუნქციებს, მისი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მთავრობის მიერ დადგენილი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით. სააგენტოს საქმიანობაში საჩივრებზე რეაგირება იქნება ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიმართულება დარღვევის აღმოჩენის და აღკვეთისა, როგორც ამას არსებული კანონი ითვალისწინებს.

ცვლილებების მიხედვით, სააგენტოს ძირითად ფუნქციებში შედის კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით სასაქონლო და საფინანსო ბაზრების მონიტორინგი და ანალიზი. კონტროლი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დაცვაზე, კანონდარღვევის ფაქტების განხილვა და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

პროექტის მიხედვით, კონკურენციის სააგენტო გამოეყოფა შესყიდვების სააგენტოს, იქნება დამოუკიდებელი უწყება, გაზრდილი უფლებამოსილებებით და ექნება საკმაოდ დიდი დისკრეცია. სააგენტოს თავჯდომარეს კი საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური ჯერ კიდევ 1992 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა.

კონკურენციის კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი ქეთევან ლაფაჩი 1997-2001 წლებში ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე იყო.

მისი თქმით, როგორც თავად ბიზნეს სტრუქტურების მხრიდან არსებობს კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე, ასევე, შესაძლებელია ანტიკონკურენციული ქმდება სახელისუფლებო წრეების არასწორი პოლიტიკით იყოს გამოწვეული.

კონკურენციის სფეროში ანტიმონოპოლიური სამსახური მონოპოლისტი კომპანიების საბაზრო ქცევის მონიტორინგს ახორციელებდა, რომ კომპანიებს (ეკონომიკურ აგენტებს) ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა ბოროტად არ გამოეყენებინათ. რადგან როგორც ძველი, ისე 2012 წელს მიღებული კანონი კრ-

ძალავს არა თავად დომინირებულ მდგომარეობას, არამედ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

მაგალითად, კონკრეტული ბიზნესი შეიძლება იყოს წარმატებული, ჰქონდეს კარგი სტრატეგია, ჰყავდეს ბევრი მომხმარებელი, შესაბამისად, მან შეიძლება დაიკავოს ბაზრის დიდი წილი. ამ შემთხვევაში კანონს აინტერესებს არა ის, რომ კომპანიას ბაზრის დიდი წილი უჭირავს, არამედ ის, რომ მან ეს მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენოს. მაგალითად, არ დააწესოს მაღალი ფასი, ან განსაკუთრებული პირობები, რაც მომხმარებელს პრობლემას შეუქმნის.

ცვლილებების პროექტის მიხედვით, კომპანია შესაბამისი ბაზრის წილის 40%- ზე მეტს არ უნდა ფლობდეს.

როგორც ექსპერტები ამბობენ, კომპანიებს, რომელთა მონიტორინგი არ ხორციელდება, შეუძლიათ ბაზარზე შესაბამისი ქმედებებით ისე გაზარდონ საკუთარი მოგება, რომ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ზიანი მოუტანონ. ასეთი ქმდებები შეიძლება იყოს გარიგება კომპანიებს შორის, რომელიც კონკურენციას მიზანმიმართულად ზღუდავს. ასევე, ორი ან ორზე მეტი კომპანიის გაერთიანება, შეთანხმებული ფასის დაწესება, სხვა კომპანიების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვა.

არსებული კანონმდებლობის და პრაქტიკის შედეგი იყო, რომ პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი წრეებიდან მუდმივად კეთდებოდა განცხადებები სხვადასხვა ბაზარზე მონოპოლიების არსებობის შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურადაა ჩართული კონკურენციის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. ორგანიზაციამ 2012 წელს გამოაქვეყნა კვლევა „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, სადაც სურსათის და ნავთობპროდუქტების ბაზრებზე კონკურენციის თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე იყო საუბარი. კვლევის მიხედვით, ნავთობპროდუქტების ბაზარზე ჩამოყალიბებულია ოლიგოპოლიური სტრუქტურა. მაგალითად, 2006 - 2011 წლებში ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული 100-მდე მცირე და საშუალო კომპანიების ნაცვლად, დღეს ბაზარზე მხოლოდ ხუთი მსხვილი კომპანიაა. ასევე შეინიშნება საწვავზე ფასების ზრდის ტენდენციაც.

„ქართულ ბაზარზე საწვავის ფასების დინამიკას ერთგვარი ანომალია ახასიათებს, საერთაშორისო ბაზრებზე „პლატსის“ ფასების ზრდას ქართულ ბაზარზე საწვავის ფასის მატება მოსდევს, თუმცა საერთაშორისო ბაზრებზე „პლატსის“ ფასების კლებისას, უმეტეს შემთხვევაში, ქართულ ბაზარზე საწვავის ფასის შემცირების ტენდენცია არ შეინიშნება“, – ნათქვამია კვლევაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური „ლიბერალთან“ საუბარში აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანია ახალი სააგენტო ძლიერი და მოქნილი იყოს. თუმცა მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად საჭიროა პოლიტიკური ნებაც, რომ სააგენტომ მალევე შეძლოს აქტიური საქმიანობის დაწყება.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობა და კონკურენციის შესახებ პოლიტიკის რეფორმა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასაწყებად.

ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, პროექტის მენეჯერი ვაჭრობის საკითხებში, ვირჟინი კოსული, „ლიბერალთან“ საუბარში ამბობდა, რომ კონკურენციის სფეროში ევროკავშირს საქართველოს მიმართ ორი თხოვნა ჰქონდა. პირველი, მიღებული ყოფილიყო მკაფიო კონკურენციის პოლიტიკა და კონკურენციის შესახებ კანონი. მეორე, შექმნილიყო სათანადო კონკურენციის სააგენტო, რომელიც კანონის განხორციელებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.

„კონკურენცია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ პირდაპირკავშირშია ვაჭრობასთან. ჩვენ ვთვლით, რომ კონკურენცია ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწორი მუშაობისთვის. ის მნიშვნელოვანია როგორც კომპანიებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის, რადგან თუკი კონკურენციის ნაკლებობაა, ბაზარზე იზრდება ფასები“, – თქვა ვირჟინი კოსულიმ „ლიბერალთან“ საუბრისას.

როგორც ექსპერტები ამბობენ, კომპანიებს, რომელთა მონიტორინგი არ ხორციელდება, შეუძლიათ ბაზარზე შესაბამისი ქმედებებით ისე გაზარდონ საკუთარი მოგება, რომ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას ზიანი მოუტანონ. ასეთი ქმდებები შეიძლება იყოს გარიგება კომპანიებს შორის, რომელიც კონკურენციას მიზანმიმართულად ზღუდავს. ასევე, ორი ან ორზე მეტი კომპანიის გაერთიანება, შეთანხმებული ფასის დაწესება, სხვა კომპანიების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვა.

აბორტი
დანაშაული თუ არჩევანი?

აბორტის აკრძალვის შესახებ დისკუსია საქართველოს პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს შემდეგ დაიწყო. აბორტის აკრძალვის მოწინააღმდეგეები ქალთა ჯანმრთელობისა და არჩევნის თავისუფლებაზე საუბრობენ, მომხრეები კი ნაყოფის სიცოცხლის უპირატესობას უსვამენ ხაზს.

თინა ყიფშიძე

1966 წელს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ნიკოლაი ჩაუშესკუმ „ბრძანებულება 770“-ით ქვეყანაში აბორტი და ნებისმიერი ფორმის კონტრაცეფცია აკრძალა. ჩაუშესკუს მიზანი ახალი რუმინული მოსახლეობის შექმნა და მისი 23 მილიონიდან 30 მილიონამდე გაზრდა იყო. „ჩანასახი საზოგადოების კუთვნილებაა, ყველა, ვინც ბავშვის გაჩენას თავს აარიდებს, დეზერტირია“, – ამბობდა ჩაუშესკუ.

1967 წლამდე რუმინეთში აბორტის შესახებ მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონი მკაცრმა კონტროლმა ჩაანაცვლა. ქვეყანაში გაქრა კონტრაცეპტიული საშუალებები, აიკრძალა სექსუალური განათლება, თითოეული რუმინელი ქალისთვის თვეში ერთხელ გინეკოლოგთან ვიზიტი სავალდებულო გახდა. პოლიციის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა საავადმყოფოები, ყველა გამოვლენილი ორსულობა მშობიარობით უნდა დასრულებულიყო.

ჩაუშესკუს ბრძანებულების შედეგად 1966 წლიდან 1967 წლამდე მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებელი თითქმის 100 პროცენტით გაიზარდა. ერთ ქალზე გაჩენილი ბავშვების რაოდენობამ 1.9-დან 3.7-მდე მოიმატა. 1967 წელს დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ რუმინეთის ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ქალები არასასურველი ორსულობის შესაწყვეტად სხვადასხვა პრიმიტიულ და ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ მეთოდებს მიმართავდნენ. არასტერილურ პირობებში ჩატარებული აბორტების შედეგად ინფექციებითა და სხვადასხვა გართულებებით უმრავი ქალი იღუპებოდა. გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობაც – ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე,

83 ბავშვი იღუპებოდა. ეს მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში ბავშვთა სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილ ბავშვზე 10 გარდაცვლილი იყო. ქვეყანა სიღატაკის ჭაობში ჩაეფლო, რომლის შედეგებს დღემდე იმკის.

ამჟამად ევროპის უმეტეს ქვეყანაში აბორტი ლეგალიზებულია. ყოფილი კომუნისტური ქვეყნებიდან აბორტი მხოლოდ პოლონეთშია აკრძალული. რელიგიური მოსაზრებებით აბორტს ირლანდიის კანონდებლობაც კრძალავს და დასაშვებად მხოლოდ იმ შეთხვევაში მიიჩნევს, თუ ორსულობა დედის ჯანმრთელობას სერიოზულ საშიშროებას უქმნის. მეზობელ ქვეყნებში აბორტის გასაკეთებლად სტუმრობა ორივე ქვეყნის ქალებისთვის ჩვეული პრაქტიკაა. ყოველწლიურად დაახლოებით 6000 ირლანდიელი ქალი ამ მიზნით ინგლისს სტუმრობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, არალეგალური აბორტების შედეგად ყოველ საათში 8 ქალი კვდება, წლიურად ეს მაჩვენებელი 68 000 გარდაცვლილ ქალს ითვლის. სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი სტატისტიკა აფრიკას, აზიასა და ლათინურ ამერიკას აქვს. განვითარებად ქვეყნებში 100 000 არალეგალურ აბორტზე 367 სიკვდილის შემთხვევა რამდენიმე ასეულით აღემატება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს, სადაც აბორტი ლეგალიზებული და შედარებით უსაფრთხოა.



აბორტის აკრძალვის თემა საქართველოში 5 მაისის შემდეგ ისევ აქტუალური გახდა. სამების ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს საქართველოს პატრიარქის საადღგომო ეპისტოლე გააცნეს. დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად პატრიაქი მთავრობას აბორტის აკრძალვის შესახებ კანონის მიღებისაკენ მოუწოდებდა:

"დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის (რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული). მანამდე კი, მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად. მთავარი სწორედ განწყობის შექმნაა." – წერდა ილია მეორე.

პატრიარქის განცხადებას მედიასა და სოციალურ ქსელებში დისკუსია მოჰყვა. აბორტის აკრძალვის მომხრებსა და მოწინააღმდეგეებს საკუთარი არგუმენტები აქვთ.

აბორტის მოწინააღმდეგეთა ნაწილი ნაყოფის სიცოცხლის უპირატესობას აღიარებს და მას ცოცხალ ადამიანად განიხილავს, შესაბამისად, მათთვის აბორტი ადამიანის მკვლელობის ტოლფასია.

მიუხედავად იმისა, რომ აბორტი ქალის ფსიქიკური და ფიზიოლოგიურ ჯანმრთელობას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს, აბორტის აკრძალვას ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ეწინააღმდეგებიან.

გამოცდილება აჩვენებს, რომ აბორტის აკრძალვის პრაქტიკას, როგორც წესი, აბორტის

აბორტის მომხრეებისთვისაც აბორტი საუკეთესო გამოსავალი არ არის, აბორტს არავინ მიესალმება, როგორც კონტრაცეპციურ გზას, რომელიც ქალის ჯანმრთელობას მძიმე დარტყმას აყენებს.

აბორტის აკრძალვა იგივეა, რომ ავკრძალოთ პრობლემა. მსგავსი წარმატებით შეგვიძლია ავკრძალოთ სიღარიბე, უმუშევრობა, ჯამრთელობის პრობლემები, თუმცა აკრძალვა არც ერთ პრობლემას არ მოაგვარებს. საზოგადოებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ჩვილთა და დედათა ჯამრთელობის, განათლების და ცხოვრების უფლების დაცვას, არავითარი მორალური საფუძველი არ გაჩნია აბორტის აკრძალვის მოთხოვნისთვის. აბორტის აკრძალვის ინიციატივა არამხოლოდ უპასუხისმგებლო, შეიძლება დანაშაულებრივი ნაბიჯიც კი იყოს." – ამბობს ის.

შემცირების ნაცვლად, ქალთა ჯანმრთელობის გაუარესება და სიკვდილიანობის ზრდა მოჰყვება. აბორტის აკრძალვა ქალს აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლებინებს და ის მას არასტერილურ პირობებში მაინც გაიკეთებს.

„თავისთავად აბორტი მისასალმებელი ფაქტი არაა, მაგრამ უნდა ვიმსჯელოთ, არის თუ არა მისი აკრძალვა გამოსავალი. რას მოგვცემს აბორტის აკრძალვა, დემოგრაფიულ გამრავლებას თუ აბორტის პრაქტიკის იატაკქვეშეთში გადასვლას? როგორც წესი, აკრძალვის შემთხვევაში ქალთა სიკვდილიანობა იმატებს, აბორტების რიცხვი კი იზრდება." – ამბობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მრჩეველი გენდერულ საკითხებში თამარ საბედაშვილი.

ღუდუშაურის საავადმყოფოს სამეანო განყოფილების ხელმძღვანელი მამუკა ნემსაძე აბორტს ქალის უფლებად განიხილავს და დემოკრატიულობის ამბიციის მქონე ქვეყანაში მის შეზღუდვას არ მიესალმება. მისივე თქმით, აბორტის აკრძალვა სამედიცინო თვალსაზრისითაც მიუღებელია.

„ქალს თუ უნდა ორსულობის შეწყვეტა, იმდენად ბევრ და სხვადასხვა მეთოდს ხმარობს ამისათვის, იმდენად არის გავრცელებული ხალხური მეთოდები, რომ მას აუცილებლად გაიკეთებს. ამას ბოლო პერიოდში შემოტანილმა მედიკამენტებმაც შეუწყო ხელი. აკრძალვით აბორტების რიცხვი მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკით შემცირდება, რეალურად კი უმრავ არალეგალურ და შესაბამისად საშიშ აბორტს მივიღებთ." – ამბობს მამუკა ნემსაძე.

მისივე თქმით, არალეგალური აბორტების შემთხვევები ისედაც ხშირია. მამუკა ნემსაძე რამდენიმე წლის წინანდელ შემთხვევას იხსენებს, როდესაც ორსულმა ქალბატონმა, სახლის პირობებში, აბორტი ბატის ფრთით გაიკეთა.

„სასქესო ორგანოსთან ერთად სწორი ნაწლავიც დაიზიანა და ძლივს გადარჩა," – იხსენებს გინეკოლოგი.

აბორტების რაოდენობის შემცირებისთვის ზრუნვას მიესალმება, მაგრამ საქართველოს სოციო-ეკონომიკურ პირობებში აბორტის აკრძალვას დაუშვებლად მიიჩნევს მკვლევარი და პოლიტოლოგი ლელა რეხვიაშვილი.

„აბორტის აკრძალვა იგივეა, რომ ავკრძალოთ პრობლემა. მსგავსი წარმატებით შეგვიძლია ავკრძალოთ სიღარიბე, უმუშევრობა, ჯამრთელობის პრობლემები, თუმცა აკრძალვა არც ერთ პრობლემას არ მოაგვარებს. საზოგადოებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ჩვილთა და დედათა ჯამრთელობის, განათლების და ცხოვრების უფლების დაცვას, აბორტის აკრძალვის მოთხოვნის არავითარი მორალური საფუძველი არ გააჩნია. აბორტის აკრძალვის ინიციატივა არამხოლოდ უპასუხისმგებლო, შეიძლება დანაშაულებრივი ნაბიჯიც კი იყოს." – ამბობს ის.

რეხვიაშვილის აზრით, საქართველოში, სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად, პირველი სამი თვის განმავლობაში აბორტის გაკეთება უფასო უნდა იყოს. ქალს უსაფრთხო აბორტის გაკეთება ფინანსური ბარიერების გარეშე უნდა შეეძლოს.

„ქალს აქვს აბორტის გაკეთების უფლება, და თუ ვინმეს დემოგრაფიაზე და ადამიანის ჯამრთელობაზე გული შესტკივა, სჯობს იმაზე იზრუნოს, რომ სამ თვემდე აბორტის გაკეთება უფასო იყოს ქალებისთვის, ისევე როგორც უამრავ განვითარებულ ქვეყანაშია." – ამბობს ის.

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ აბორტის აკრძალვა, ყველაზე მეტად, ფინანსურად შეჭირვებულ ქალებს უქმნის პრობლემებს. შეძლებული ქალები აბორტის გაკეთებას სხვა ქვეყანაში წასვლით, ან ექიმთან მოლაპარაკებების გზით ახერხებენ. გაჭირვებული ქალებისთვის კი უსაფრთხო აბორტის ძვირადღირებული გზები დახურულია.

აბორტის აკრძალვა ფემინისტური და ქალთა უფლებების პერსპექტივიდანაც მიუღებელია. ფემინისტების მოსაზრებით, ეს ქალისთვის ავტონომიურობის და საკუთარი სხეულის კონტროლის უფლების წართმევაა. ქალის აუცილებელი დანიშნულება დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაა. შედეგად კი მისთვის გადაწყვეტილების მიღების საშუალების ჩამორთმევამდე და მისი პიროვნების რეპროდუქციული უნარების მქონე არსებად დაყვანამდე მივდივართ.

„აკრძალვის შესახებ დაწყებულ მსჯელო-

ბაში მთავარი დამნაშავე და ცოდვილი ქალია, თან ისე, რომ გადაწვეტილების მიღების უფლება წართმეული აქვს. როდესაც აბორტის აკრძალვაზე საუბრობენ, ეს ქალის ავტონომიურობისა და სექსუალობის კონტროლის სურვილის გამოვლენაა, მას სექსუალური კონტაქტი მხოლოდ ბავშვის გასაჩენად უნდა ჰქონდეს, როდესაც კაცის ნებისმიერი სექსუალური აქტივობა წახალისებულია." – ამბობს ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წევრი იდა ბახტურიძე.

„ქალის არჩევანის მომხრე ათასობით ქალი და კაცი მინახავს, მაგრამ აბორტის მხარდამჭერი, არავინ," – ამბობდა აშშ-ს სახელწიფო მინისტრი ჰილარი კლინტონი აშშ-ში აბორტის შესახებ დისკუსიისას. აბორტის ლეგალიზების მომხრეები აღნიშნავენ, რომ აბორტი, როგორც ფაქტი, თავისთავად სასურველი და ქალის ოცნება არაა, მაგრამ მას საკუთარი გადაწყვეტილების მიღება უნდა შეეძლოს.

აბორტის მომხრეებისთვისაც აბორტი საუკეთესო გამოსავალი არ არის, აბორტს არავინ მიესალმება, როგორც კონტრაცეპციურ გზას, რომელიც ქალის ჯანმრთელობას მძიმე დარტყმას აყენებს.

თამარ საბედაშვილს სასურველ გამოსავლად აბორტის, როგორც კონტრაცეფციის მეთოდის, გამოყენების მაქსიმალური შემცირება ესახება. მისი თქმით, საქმე არასასურველ ორსულობამდე არ უნდა მივიდეს. ამისთვის სექსუალური განათლება და კონტრაცეპტივების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობაა საჭირო.

„არასასურველი ორსულობა თავიდან უნდა ავიცილოთ, კონტრაცეფციის უმარავი საშუალება არსებობს. საუკეთესო გამოსავალი არასასურველ ორსულობამდე არმისვლაა და ამისათვის მოსახლეობის ინფორმირებულობა და განათლებაა საჭირო." – ამბობს საბედაშვილი.

ეკლესიას კონტრაცეპტივების მოხმარების მიმართაც ხისტი პოზიცია აქვს, მას აბორტის განსხვავებულ საშუალებად და, შესაბამისად, ცოდვად თვლის. ასევე ეწინააღმდეგება სექსუალურ განათლებას. ბავშვთა სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის ფონზე, ეკლესიის პოზიცია უპასუხისმგებლოდ გამოიყურება. ქვეყანაში, სადაც ქუჩაში უამრავი ბავშვი ცხოვრობს, ეკლესიის შეთავაზება, რომ გაჭირვებულ ოჯახებს ბავშვებს თვითონ გაუზრდის, არადამაჯერებელია.

Radio Commersant
marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო
Commersant.ge

ჰობოჰ დავისვათ დასაქმებულთა უფლებები?

ახალი ხელისუფლება კანონში ცვლილების შეტანით ცდილობს შეცვალოს სახელმწიფოს დამოკიდებულება შრომითი ურთიერთობის რეგულირებასთან მიმართებაში. მაგრამ თუ შრომის ბაზრის პრობლემებიც არ მოგვარდება, მხოლოდ შრომის კოდექსის ცვლილება დასაქმებულის უფლებების არსებით დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

სალომე გუნთაიშვილი

ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით შრომის კოდექსში 2006 წელს შეტანილმა ცვლილებებმა ინვესტორებს მეტი თავისუფლება მიანიჭა. შრომითი ურთიერთობების რეგულირების თავისუფალ საბაზრო წესებზე მინდობამ და სამუშაო ბაზრის სირთულეების კომბინაციამ კი არასათანადო სამუშაო პირობები, ხელშეკრულებაში ცალმხრივი უპირატესობის დაფიქსირების შესაძლებლობა, ანაზღაურების გარეშე გაზრდილი სამუშაო საათები, სამსახურიდან დათხოვნის გამარტივება და სხვა მრავალი პრობლემა მოიტანა. ვინაიდან თავისუფალი ბაზრის წესებზე მორგებულმა შრომის კოდექსმა ვერ უზრუნველყო დასაქმებულის უფლებების დაცვა და შრომითი ურთიერთობა ღირსებისა და პატივისცემის შელახვამდეც მივიდა. საზოგადოების ნაწილში, მსგავსად „ლაბორატორია 1918“-ისა, გაჩნდა პროტესტი მოთხოვნით – „შეცვალე კოდექსი“.

ახალი ხელისუფლება ცდილობს კანონში ცვლილების შეტანით შეცვალოს სახელმწიფოს დამოკიდებულება შრომითი ურთიერთობის რეგულირებასთან მიმართებაში და კანონმა უფრო მეტად დააბალანსოს მხარეთა უფლებები. მაგრამ თუ შრომის ბაზრის პრობლემებიც არ მოგვარდება, მხოლოდ შრომის კოდექსის ცვლილება დასაქმებულის უფლებების არსებით დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

შესაბამისად, თანასწორობაზე დამყარებული შრომითი ურთიერთობების ხელშეწყობისთვის, პრიორიტეტულია შრომის ბაზრის პრობლემების გამოსწორება. თუმცა, რადგან ამ პრობლემების სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, ხოლო მათ ნაწილობრივ მოგვარებასაც დიდი დრო სჭირდება, დაუშვებელია დასაქმებულის მდგომარეობა ამ დროზით იყოს დამოკიდებული დამსაქმებლის კეთილ ნებაზე.

როგორი სიტუაციაა საქართველოს შრომის ბაზარზე?

მოქმედ შრომის კოდექსთან ერთად, რომლის შეცვლის რეკომენდაციით მოგვმართავდა შრომის საერთშორისო ორგანიზაცია და ევროკავშირი, დასაქმებულთა უფლებების დარღვევამდე შრომის ბაზრის არაერთმა პრობლემამ მიგვიყვანა. ამათგან ძირეულია: სამუშაოს პოვნის სირთულე, ადამიანთა შეგუება შრომითი ურთიერთობის არსებულ ფორმასთან და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

საქართველოს შრომის ბაზრის ყველაზე დიდი პრობლემაა უმუშევრობა. სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების მკვეთრი დისბალანსის გამო ძნელია სამუშაოს დაწყება და მარტივია ახალი კადრის პოვნა. რადგან ამ სიტუაციამ შექმნა უმუშევრად დარჩენის შიში, სამუშაოს მსურველთა უმრავლესობა მათთვის მიუღებელ ხელშეკრულებას ზოგჯერ წაუკითხავადაც კი აწერს ხელს, რაც დამსაქმებელს საშუალებას უტოვებს კიდევ უფრო გაამყაროს კანონით დაწესებული საკუთარი უპირატესობა. ხოლო ისეთი გარემოებები, როგორიცაა სასამართლოს

მიმართ უნდობლობა, კანონით უზრუნველყოფილი სამსახურიდან დათხოვნის გამარტივება, სხვა სამსახურის პოვნის სირთულე და ადამიანის ბუნება, შეეგუოს არსებულ სიტუაციას, დასაქმებულს უბიძგებს რეაგირების გარეშე დატოვოს მის წინააღმდეგ ჩადენილი უკანონო ქმედებები. ყოველივე ეს გაამყარა შრომის კოდექსით დამსაქმებლისთვის მინიჭებულმა ჭარბმა თავისუფლებამ და გამოიწვია დასაქმებულთა უფლებების დარღვევა[1].

სამუშაო ბაზარზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას კვალიფიციური კადრის ნაკლებობაც ქმნის. ზოგიერთ, ტექნიკური მიმართულების, დარგში განსაკუთრებით უჭირთ მენეჯერებს კონკრეტული პროფესიის ადამიანის პოვნა. ზოგ დარგში კი – პირიქით, არასაკმარისი ცოდნისა და გამოცდილების კადრების სიჭარბის გამო დამსაქმებლები ნაკლებად არიან მოტივირებულები თანამშრომლების შენარჩუნებისთვის, ან კადრებისთვის მისაღები შრომითი პირობების შექმნისა და უფლებების დაცვისთვის.

შესაბამისად, თანასწორობაზე დამყარებული შრომითი ურთიერთობების ხელშეწყობისთვის, პრიორიტეტულია შრომის ბაზრის პრობლემების გამოსწორება. თუმცა, რადგან ამ პრობლემების სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, ხოლო მათ ნაწილობრივ მოგვარებასაც დიდი დრო სჭირდება, დაუშვებელია დასაქმებულის მდგომარეობა ამ დოზით იყოს დამოკიდებული დამსაქმებლის კეთილ ნებაზე. ამიტომ აუცილებელია შრომის კოდექსის რაციონალური შეცვლა.

რას გულისხმობს 11 მარტს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი შრომის კოდექსის ცვლილების კანონპროექტი?

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტით ბევრი საკანონმდებლო ხარვეზი გამოსწორდება. თუ მოქმედი კოდექსი დამსაქმებელს აძლევს უფლებას უმიზეზოდ და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლოს თანამშრომელი, კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებით არის მცდელობა შეიზღუდოს აღნიშნული შესაძლებლობა და ზოგადად, გაიზარდოს კანონის როლი მხარეთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრაში.

ამ შემთხვევაში განვიხილავ იმ ცვლილებებს, რომლებმაც შესაძლებელია გარკვეული პრობლემები ისევ დაამკვიდროს პრაქტიკაში და მათი შემცირება შრომის ბაზრის გაუმჯობესებაზე იყოს დამოკიდებული.

ერთ-ერთი ცვლილებით, მე-6 მუხლი ზეპირ ხელშეკრულებას დასაშვებს გახდის არა მხარეთა შეთანხმებით, როგორც მისაღებია მოქმედი კოდექსით, არამედ მხოლოდ სამ თვემდე ხანგრძლივობის შრომითი ურთიერთობის დროს, რაც წინგადადგმული ნაბიჯია დავის სამართლებრივი გადაწყვეტის ხელშეწყობითვის. თუმცა წერილობითი ფორმის მომზადება, სამ თვეზე ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რთული აღმოჩნდეს ზოგიერთი დამსაქმებლისთვის, მაგალითად, სურსათით მოვაჭრე მცირე მაღაზიის მფლობელისთვის. ასევე, არაფიქსირებული შეთანხმების გამო, შესაძლებელია, გართულდეს მტკიცება, გრძელდებოდა თუ არა შრომითი ურთიერთობა სამი თვის მანძილზე, ან თუ ამ პერიოდში ვერ მოხერხდა სამუშაოს დასრულება, დამატებითი დროისთვის არ გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება, ან დასაქმების სირთულის გამო, სამუშაოს მაძიებელი შრომითი ურთიერთობის სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობის დროსაც ზეპირ ხელშეკრულებას დათანხმდეს და ისევ მრავალი პრობლემა შეიქმნას. დასაქმების პერსპექტივის გაზრდის შემთხვევაში კი დასაქმებულები მეტად ეცდებიან შეთანხმებისთვის იურიდიული ძალის მიცემას, რაც ზრდის ვალდებულებების შესრულებისა და დავის სამართლებრივი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ასევე, მე-17 მუხლის ცვლილებით ზეგანაკვეთურად ჩაითვლება კვირაში 40-ზე მეტი სამუშაო საათი, ნაცვლად 41 სთ-ისა, ხოლო ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების ოდენობა ისევ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. ეს შესაძლოა, ყველაზე მისაღები მიდგომაა, მაგრამ არსებული შრომის ბაზრის პირობებში, ისევ უმნიშვნელოდ ანაზღაურების ხარჯზე, ან საერთოდ ანაზღაურების გარეშე გაიზრდება სამუშაო დრო.

გარდა ამისა, 37-ე მუხლის ცვლილების მიხედვით, დამსაქმებელს უმიზეზოდ აღარ შეეძლება დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა, როგორც ეს მოქმედი კოდექსითაა დაშვებული. თუმცა ზოგიერთი პუნქტით გათავისუფლების ნებადართულმა საფუძვლებმა შესაძლებელია გაურკვევლობა გამოიწვიოს. მაგალითად, გართულდეს ერთ-ერთი საფუძვლის – დასაქმებულის კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის მტკიცება და ამის ხელშეკრულებით განსაზღვრაც პრობლემური იყოს. ასევე, სადავოა შეუძლია თუ არა დამსაქმებელს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების მიღების პროვოცირება, რომლის შემდეგაც დასაქმებულის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს ქმნის. გარდა ამისა, საკამათოა რა ჩაითვლება ვალდებულების „უხეშ“ დარღვევად ან „სხვა ობიექტურ“ მიზეზებად, რომლებმაც ასევე შესაძლოა, გათავისუფლების საფუძველი შექმნას. აღნიშნული მუხლი იცავს დასაქმებულს, მაგრამ ზღუდავს დამსაქმებელს სამსახურიდან გაუშვას თანამშრომელი უკეთესი კადრის გამოჩენის დროს. ასევე, ცვლილებები ხელსაყრელია უკვე დასაქმებული პირებისთვის, მაგრამ სამუშაო ადგილების არ-

სახელმწიფო მეტად უნდა ჩაერთოს სამუშაო ბაზრის პრობლემების მოგვარებაში. უფრო აქტიურად უნდა დაიწყოს მუშაობა დასაქმების პერსპექტივების გაზრდაზე, რათა დასაქმებულისთვის პრიორიტეტული გახდეს ხელშეკრულების პირობები და დამსაქმებელმაც მეტად იზრუნოს თანამშრომლისთვის სასურველი გარემოს შექმნაზე.

სებულ დონეზე შენარჩუნების შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვნის შემცირება გამოიწვევს ისედაც არასაკმარისი ვაკანტური ადგილების კლებას და სამუშაოს მაძიებლებისთვის დასაქმებას გაართულებს. ეს კი კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და პროფესიული განვითარების სტიმულსაც შეაფერხებს.

რატომ არის აუცილებელი დასაქმებულის უფლებების გაზრდისთვის შრომის ბაზრის განვითარება?

კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი მოწმობს, რომ მიუხედავად მასში უფლებების დაბალანსების მცდელობისა, საკმაოდ რთულია კანონმა გამორიცხოს ცალმხრივი უპირატესობის შესაძლებლობა და ბევრი საკითხი ისევ შრომითი ბაზრის პირობებით დარეგულირდეს. დასაქმების სირთულის შემთხვევაში, სამსახურის დაკარგვის შიშით, სამუშაოს მაძიებელი ისევ დათანხმდება სამსახურს ნებისმიერი პირობის სანაცვლოდ, ისევ მოაწერს ხელშეკრულებას ხელს, თუნდაც წაუკითხავად, და ისევ არ გააპროტესტებს მის წინააღმდეგ მიმართულ კანონდარღვევებს.

დასაქმებულის უფლებების გაზრდისთვის აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნა, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა ინვესტორთა მოზიდვაა. ლიბერალური შრომის კოდექსი კი არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი საშუალება ინვესტორებისთვის სასურველი გარემოს შესაქმნელად, მითუმეტეს, როცა მათთვის მიმზიდველი დაბალი ანაზღაურება ისევ ნარჩუნდება, ამიტომ ძალისხმევა უნდა მიიმართოს: საკუთრების უფლების დაცვის, მიმზიდველი საგადასახადო სისტემის შექმნის, პოლიტიკური სტაბილურობის და ადამიანური რესურსების განვითარების გაზრდისკენ. ამ უკანასკნელისთვის ხელშეწყობა უნდა მოხდეს, როგორც სახელმწიფო პროგრამებით, ასევე ადამიანთა ცნობიერების ამაღლებით – მეტად იზრუნონ საკუთარი კონკურენტუნარიანობისთვის. მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრი კი სამსახურიდან არგაშვებისა და კომფორტული პირობების შექმნის სტიმულს უქმნის კომპანიას. სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე ერთ-ერთი წინაპირობაა ადგილობრივი ბიზნესის განვითარება, რომლის ხელშემწყობი ფაქტორია მეწარმეებისთვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, არსებულ სიტუაციაში აუცილებელია შეიცვალოს შრომის კოდექსი და საკანონმდებლო რეგულირება არ წარიმართოს ერთ-ერთი მხარის უფლებათა დარღვევის ხარჯზე. თუმცა ეს არ არის გამოსავალი და სახელმწიფო მეტად უნდა ჩაერთოს სამუშაო ბაზრის პრობლემების მოგვარებაში. უფრო აქტიურად უნდა დაიწყოს მუშაობა დასაქმების პერსპექტივების გაზრდაზე, რათა დასაქმებულისთვის პრიორიტეტული გახდეს ხელშეკრულების პირობები და დამსაქმებელმაც მეტად იზრუნოს თანამშრომლისთვის სასურველი გარემოს შექმნაზე. ამ პროცესით და ასევე, სახელმწიფოს თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანმიმართული ქმედებებით უნდა მოხდეს შრომითი ურთიერთობის კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არის ერთ-ერთი საშუალება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად. ამ კეთილდღეობის მიღება კი შეუძლებელია ადამიანის ღირსებისა და პატივისცემის შელახვის ხარჯზე, თუნდაც ამ პროცესმა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ წინსვლას.

სტატია მომზადდა ლიბერალური განათლების ქართულ-ამერიკული ინიციატივის პროექტის „ახალგაზრდები დემოკრატიისთვის“ ფარგლებში.

1 „პროფკავშირები: ბანკებში თანამშრომლების უფლებები ხშირად ირღვევა“. კომერსანტი. 2012წ.
„ლაბორატორია – 1918“ შრომის კოდექსის შეცვლას მოითხოვს“. „რადიო თავისუფლება“ 2012წ.

ფოტო ლევან ხარბედილაძე

"უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება"

სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების თემის გარშემო საზოგადოებაში არაერთი არაერთგვაროვანი აზრი გაჩნდა. მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ უცხოელებზე მიწა არ უნდა იყიდებოდეს, ნაწილს კი არ ესმის, თუ რატომ არ უნდა გასხვისდეს მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მაშინ როდესაც ქართველი ფერმერები ნაკვეთებს არ ან ვერ ამუშავებენ. საქართველოში არსებული იაფი მიწების შესახებ ინფორმაციას ინტერნეტშიც გადააწყდებით. სხვადასხვა პორტალებზე უცხოელი ფერმერები, ბიზნესმენები ან კომპანიები კლიენტებს საქართველოში იაფი მიწის შესყიდვას და სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ. პრობლემები ექმნებათ ჩამოსულ უცხოელ ფერმერებსაც. გორის რაიონის სოფელ დიცის მოსახლეობამ ინდოელ ფერმერებს ნაკვეთების დამუშავების საშუალება არ მისცა. იგივე განმეორდა ამავე რაიონის სოფელ ქვემო არცევშიც. სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების, ამ მიმართულებით საქართველოში არსებული პრობლემების, მათი გადაჭრის გზებსა და სხვა ქვეყნების პრაქტიკაზე „ლიბერალი“ სამართლის დოქტორს, სამართლის სკოლის ასოცირებულ პროფესორს, ანა ფირცხალიშვილს ესაუბრა.

ქალბატონო ანა, რამდენიმე ადამიანთან ერთად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართეთ. რას ითვალისწინებს ეს წინადადება?

პაატა კოღუაშვილთან და ზაურ ჯინჯოლავასთან ერთად პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება შევიტანეთ. წინადადება იმ შეზღუდვებს ითვალისწინებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ პლენუმის 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით თითქმის მთლიანად გააუქმა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ არსებული კანონი უცხოელს საქართველოში მიწის შეძენის უფლებას არ აძლევდა, ხოლო თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ქონებას მემკვიდრეობით მიიღებდა, მიწა 6 თვის განმავლობაში უნდა გაესხვისებინა.

ეს ორივე ნორმა გასაჩივრდა, საკონსტიტუციო სასამართლომ კი ჩათვალა, რომ აღნიშნული ნორმები არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს – საკუთრების შეძენის საყოველთაო უფლებას; აქედან გამომდინარე ეს რეგულაცია გააუქმა.

დღესდღეობით, თუ საქართველოს, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა სურს, ისინი თანაბარ პირობებში არიან. ამ ყველაფერმა უკონტროლო პროცესები გამოიწვია.

კონკრეტულად რა პუნქტები ჩადეთ საკანონმდებლო წინადადებაში?

გადავწყვიტეთ კანონმდებლებისთვის ისეთი რეგულაციები შეგვეთავაზებინა, რომელიც უცხოელებისადმი მართლაც მკაცრია. ეს სიმკაცრე არ ნიშნავს, რომ მათ საერთოდ არ შეუძლიათ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწას ფლობდნენ. ჩვენი წინადადებით, უცხოელი, რომელსაც საქართველოში მიწის შეძენა სურს 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში კანონიერად უნდა ცხოვრობდეს, უნდა ჰქონდეს 5-წლიანი გამოცდილება სოფლის მეურნეობის სფეროში და ასევე, სპეციალური აგრარული განათლება.

გარდა ამისა, უცხოელს მხოლოდ 2,5 ჰექტრის შეძენის უფლება უნდა ჰქონდეს, ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებული მიწა სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების 5%-ს უნდა შეადგენდეს.

ვერ წარმოიდგენთ რა რთული იყო ამ 5% -ზე შეთანხმება. არ არსებობს უწყება, რომელიც მოგვცემს ინფორმაციას, თუ რა რაოდენობის მიწაა დღეისათვის გასხვისებული. სავარაუდო მონაცემებით ეს მაჩვენებელი 50 ათას ჰექტარს უნდა შეადგენდეს. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მთლიანად 800 ათასი ჰექტარია, ხოლო თუ არ ჩავთვლით ოკუპირებულ ტერიტორიებს, რეალურად 745 ათასი ჰექტარი გვრჩება. დღეისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებული მიწები 745 ათასი ჰექტრის 5%-ზე მეტია. თუკი ჩვენ მიერ შეთავაზებული ცვლილებები ძალაში შევა, გაყიდული მიწა კი 5%-ზე მეტი აღმოჩნდება, ამ შემთხვევაში უცხოელს მიწის ყიდვა მხოლოდ სხვა ქვეყნის მოქალაქისგან შეეძლება.

საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთაგან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა მხოლოდ იმ იურიდიულ პირს შეეძლება, რომელშიც საქართველოს მოქალაქე წილობრივად მინიმუმ 51%-ს ფლობს.

განხილვის რა ეტაპზეა პარლამენტში თქვენ მიერ შეტანილი წინადადება და რას გეგმავთ იმ შემთხვევაში, თუ საკომიტეტო სხდომაზე ეს საკითხი ჩავარდება?

ორ კვირაზე მეტია, რაც ჩვენი საკა-

რატომ ვერ ამუშავებს ქართველი გლეხი მიწას? იმიტომ რომ არავინ ეხმარება, ანუ ამ სფეროში სახელმწიფო სუბსიდიებს არ დებს. ეს ისეთი დარგია, სადაც მოსახლეობას სახელმწიფოს დახმარება სჭირდება.

ნონმდებლო წინადადება მიიღეს, განხილვის მაქსიმალური დრო 30 დღეა. თუ ეს საკითხი საკომიტეტო სხდომაზე ჩავარდება, ვაპირებთ პარლამენტს ინიციატივით მივმართოთ. ამას 30 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა სჭირდება. ხელმოწერების შესაგროვებლად მობილიზებულები ვართ და უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში, 30 ათასი ხელმოწერის შესაგროვებლად არ მგონია ერთ კვირაზე მეტი დაგვჭირდეს.

რას მიიჩნევთ იმ ძირითად პრობლემებად, რასაც უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება იწვევს?

ვფიქრობ პრობლემა არა მარტო ის არის, რომ საქართველოში უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის უფლება გაუჩნდათ, არამედ ისიც, რომ ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგულირებაში სერიოზული პრობლემები აქვს, ელემენტარულად, მიწის მართვის სამსახურიც კი არ არსებობს.

სხვა უძრავ ქონებასთან შედარებით, მიწას სხვაგვარი დატვირთვა აქვს, ის სოციალური კაპიტალია და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს იმ მოსახლეობასაც ეხება, ვისაც იქ მოყვანილი მოსავალი და პროდუქცია მიეწოდება.

როგორც მთელ მსოფლიოში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩება, შესაბამისად ძვირდება კიდეც, მაგრამ, რადგან ჩვენთან გლეხობა ჯერ-ჯერობით კონკურენტუნარიანი არ არის, ის უცხოელ ფერმერს კონკურენციას ვერ გაუწევს. პირიქით, ქართველი ფერმერი ამ მიწას ყიდის, რადგან მისი დამუშავების საშუალება არ აქვს. გასაგებია, რომ უცხოელი უნდა შემოვიდეს და ქვეყანაში ინვესტიციები ჩაიდოს, ამას მეც ვემხრობი, მაგრამ სამწუხაროდ გვავიწყდება, რომ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება. სოფლის მეურნეობა არ არის ინვესტიციატევადი დარგი, მაგრამ როდესაც მიწა ასე იყიდება, ცოტა ხანში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ის საერთოდ აღარ გვაქვს.

გარდა ამისა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ქართველსა თუ უცხოელს საკუთრებაში აქვს, მისთვის დანიშნულების შეცვლა ძალიან მარტივია, მაშინ, როდესაც იჯარით გაცემის შემთხვევაში ამის მარტივად გაკეთება არ არის შესაძლებელი, რადგან ამას სახელმწიფო აკონტროლებს. სამწუხაროდ, ის კანონი, რომელიც იჯარის შესახებ არსებობდა, შეჩერებულია. უცხოელმა რომც მოინდომოს, საქართველოში იჯარით მიწას ვერ აიღებს.

საქართველოში არსებული იაფი მიწის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტშიც გვხვდება. ამ საკითხთან დაკავშირებით უცხოელი ინვესტორები ცნობებსა თუ ვიდეომასალას სხვადასხვა ვებ-პორტალებზე ავრცელებენ და ხშირად, მათ მიერ ნაყიდ მიწას, ან ნაკვეთის შესყიდვაში დახმარებას სხვადასხვა ფასად უცხოელს სთავაზობენ.

ეს დიდი საფრთხეა. ერთმა რომელიმე კომპანიამ რომ მოინდომოს, ხვალვე შეუძლია საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების შესყიდვა, შემდეგ კი თუნდაც ქართველებზე ან სხვა უცხოელ ინვესტორზე იმ ფასად გასხვისება, რასაც თავად მოინდომებს. მას შეუძლია ხელოვნურად გაზარდოს მიწაზე ფასი და ისეთ ნიშნულზე აიყვანოს, რომელიც ადგილობრივებისთვის კატასტროფული იქნება. არსებობს შემთხვევები, რომ როდესაც უცხოელებს საკუთრებაში აქვთ მიწა, მისი ზედა საფარი 35-დან 45 სანტიმეტრამდე ქვეყნიდან გააქვთ. ამის შედეგად ეს მიწა თავის ფუნქციას კარგავს და ისეთ ცვლილებას განიცდის, რომლებსაც წლების მანძილზე ვერ აღვადგენთ. საქართველოდან მიწის ზედა საფარის გატანა უნდა გაკონტროლდეს და სისხლის სამართლებრივად დასჯადად გამოცხად-

დეს. კონტროლის მექანიზმების დაწესება პრობლემებთან არ არის დაკავშირებული, მთავარია არსებობდეს პოლიტიკური ნება. ვერ ვხვდები რატომ ვერ ხედავს სახელმწიფო რეალურ საფრთხეს და რატომ არ ჩქარობს ამ პრობლემების მოგვარებას.

საქართველოს რამდენიმე სოფელში ადგილობრივმა მოსახლეობამ უცხოელ ფერმერებს მიწის დამუშავების საშუალება არ მისცეს. საზოგადოების ნაწილს უჩნდება კითხვა – როდესაც ადგილობრივები თავად ვერ/არ ამუშავებენ მიწას, რატომ უშლიან ამაში ხელს უცხოელებს?

რატომ ვერ ამუშავებს ქართველი გლეხი მიწას? იმიტომ რომ არავინ ეხმარება, ანუ ამ სფეროში სახელმწიფო სუბსიდიებს არ დებს. ეს ისეთი დარგია, სადაც მოსახლეობას სახელმწიფოს დახმარება სჭირდება. მიწას აქვს სოციალური ბოჭვის ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, მიწა შენი მოქალაქისთვის არის უპირატესი, რადგან ეს რესურსი გამრავლებადი არ არის. უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას კარგი მიზნები აქვს, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ და რაღაც – რაღაცებში ჩანს კიდეც ეს, მას სახელმწიფოებრივი ხედვა აკლია.

როგორია უცხოელებზე მიწის გასხვისების პრაქტიკა სხვა ქვეყნებში?

ევროკავშირის წევრ შედარებით ძველ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწა უცხოელებზე იყიდება, მაგრამ იმ ადამიანებს აქვთ ცენზი – სახელმწიფო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ინვესტორი დანიშნულებისამებრ გამოიყენებს მიწას, მას უნდა ჰქონდეს განათლება, გამოცდილება და ა.შ.

გერმანიაში მიწის თითოეული გოჯი გაზომილია, უცხოელმა ინვესტორმა კი შეძენილი მიწა მაქსიმალურად დანიშნულებისამებრ უნდა გამოიყენოს – სახელმწიფო ამ პროცესს აკონტროლებს და პირობების დარღვევის შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეს სანქციები ეკისრება.

შეზღუდვებია როგორც საფრანგეთში ასევე ავსტრიაში. ავსტრიაში უცხოელი ინვესტორი 10-წლიანი ბინადრობის ცენს უნდა აკმაყოფილებდეს, ანუ ეს ადამიანი ამ ქვეყანაში ინტეგრირებული უნდა იყოს. ასევე მან უნდა დაამტკიცოს, რომ პროექტი ავსტრიის სოფლის მეურნეობისთვის სასარგებლო იქნება და ის არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს.

თურქეთში უცხოელებზე გასაყიდ მიწად 2,5 ჰექტარია განსაზღვრული, ხოლო თუ ინვესტორს უფრო დიდი ფართობის შეძენა სურს, ეს მხოლოდ მაღალი ინსტანციების გავლის შედეგადაა შესაძლებელი.

არგენტინაში უცხოელებზე გასასხვისებელი მიწის მაქსიმუმი საერთო სასოფლო-სამეურნეო მიწების 20%-ით არის განსაზღვრული, მაგრამ ვიცით რამხელაა არგენტინა და რამხელაა ჩვენი ქვეყანა. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სადაც თითო მოსახლეზე მაქსიმუმ 0,17% სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის.

აღმოსავლეთ ევროპის და ევროკავშირის შედარებით ახალ წევრ ქვეყნებში თითქმის ყველგან არის დაწესებული შეზღუდვა. უკრაინაში, ბულგარეთსა და უნგრეთში მორატორიუმებია გამოცხადებული. ამ ქვეყნებში რაღაც პერიოდის განმავლობაში, ვთქვათ 10 წლის მანძილზე საერთოდ არ ასხვისებენ მიწას, იქამდე, სანამ მიწის ბაზარი არ ჩამოყალიბდება.

რატომღაც გვგონია, რომ ევროპაში მიწას ანიავებენ, არადა პირიქით, ძალიან უფრთხილდებიან, ისევე, როგორც ამერიკაში, სადაც უცხოელებზე მიწების ძალიან ცოტა პროცენტია გასხვისებული.

რატომღაც გვგონია, რომ ევროპაში მიწას ანიავებენ, არადა პირიქით, ძალიან უფრთხილდებიან, ისევე, როგორც ამერიკაში, სადაც უცხოელებზე მიწების ძალიან ცოტა პროცენტია გასხვისებული.

ესაუბრა გიორგი ჭეიშვილი

ფოტო-გამოფენა - "ავღანური დღიურები"

10 მაისს Cafe Discovery-ში ჟურნალ „ლიბერალის“ ფოტორეპორტიორის, გიორგი გოგუას პერსონალური ფოტო-გამოფენა „ავღანური დღიურები“ გაიხსნა.

Cafe Discovery-ში გამოფენილი იყო ფოტოგრაფის 40-მდე ნამუშევარი, რომელიც გიორგი გოგუამ ავღანეთში ჰელმანდის პროვინციასა და ქაბულში გადაიღო. ფოტოგრაფმა ავღანეთის დედაქალაქში, უსაფრთხოების მიზნით, ძირითადად ჯავშანმანქანიდან იმუშავა – კადრები მანქანის ფანჯრიდანაა გადაღებული. გამოფენაზე იმყოფებოდნენ სამხედროები, რომლებიც სხვადასხვა დროს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდნენ. შეგახსენებთ, „ლიბერალი“ ამერიკისა და ნატოს ISAF სამხედრო ბაზებზე დისლოცირებული 1600-კაციანი ქართული კონტიგენტის მოსანახულებლად იმყოფებოდა და იქიდან სპეციალური რეპორტაჟი მოამზადა.

ავტორი, ფოტო: სოფო აფციაური



ციტატები

„ჩვენი თვალთახედვის არე უნდა მთავრდებოდეს გარკვეული ოთახის კარებთან. ხდება ასეთი რაღაცეები, როდესაც ახალგაზრდა ბიჭი იღვიძებს და ხვდება, რომ მოსწონს არა ქალი – არამედ კაცი. ამის გამო არ შეიძლება მას ვინმე თავს დაესხას და სცემოს, რადგან ეს არის ბარბაროსობა.“

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი

„მარიხუანის ლეგალიზაციის საკითხზე კანონმდებლობა გადასახედია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ერთ დღეს გავიღვიძებთ და მარიხუანა სუპერმარკეტებში გაიყიდება.“

დავით სერგეენკო, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი

„ევროპულ ცაზე რაიმე შავი ღრუბლის ნატამალიც კი, რომელიც საქართველოს პოზიციების შესუსტებას უქადის, რომ ამ კონფლიქტის შესახებ გადაიხედება რამე ან ოკუპაციის შესახებ შეიცვლება პოზიცია, ასეთი რამ არ არსებობს.“

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე



„ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, გამოძიების პროცესში ამ დრომდე პრობლემური რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა – საქმის სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და დაზარალებულთა პროცესუალური უფლებების დაცვა. ამიტომ გამოძიება ამ დრომდე არაეფექტური და არაობიექტურია.“

ნათია კაციტაძე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი

www.ucnobifm.ge

tv 9

ყველაზე საინტერესო
პროფესიების ყველაზე
განმავლობაში
ღირსები
გაგებული

PROFY

ყოველ ჯვირას 15:30

www.tv9.ge